After acquisition of survey results comes deeper level of investigation (which is not a purpose of present work) which consist in clarification of reality of the results of initial assessment. For example, when we ask a question like “How clearly ideals are defined?” and receiving positive answer, are scores of (5,4,3), and for next it is necessary to clarify what are these goals and respondent has to specify them; meanwhile we check if these goals are SMART (Specific, Measurable, Achievable, Related to the topic, Time-bound).

For example, for a positive answer on question about corporate spirit (or Esprit de Corps), we have to check these answer by asking questions like “What is names of your colleagues?”, “When is their birthday?” and so forth. And thereof we can conclude about presence of corporate spirit.

Suggested methodology for evaluation of an organizational management quality level at a large extent is as if it is a methodology of self-appraisal. It is considered that a respondent, who is participating in survey, is more or less experienced in this research topic.

Using this questionnaire a researcher can investigate any company is able to draw conclusions about the organizational management quality level. Universal questionnaire makes possible to diagnose a problem at early stage and to undertake corrective actions to bring about improvements.

**CONCLUSION**

The goal of my research was to develop instrument to evaluate organizational management quality. In meeting the goal it is necessary to have constructed a universal questionnaire for evaluation of a company's organizational management

quality that could be used by managers or researchers who are interested to investigate a company and determine its organizational management quality level. I performed analysis of history of evolution of managerial thought and of evolution of management as a science in achieving this.

I then defined premises of origin of a contemporary course of management, which included the describing a number of concepts and analyzed principles of management. As a result of the analysis of the first chapter, the following conclusion can be delaminated: 1) management is essential for organization's well-being; 2) management as a science developed at the beginning of the XX century after publication of Taylor's book "Principles of scientific management". Taylor is an important figure in management and he is called "father of scientific management"; 3) principles of management are important tool for effective management and results. On the basis of material in the second chapter I conclude that in order to determine how effective an organization is we need to research a company's organizational and managerial effectiveness. In order to check organizational and managerial effectiveness we use principles of management developed by H. Emerson, H. Fayol and M. Weber. Results from the third chapter are following: cybernetics is a science that studies management and its goal is optimization of management system. From the fourth chapter, it is concluded that there are many similarities among four different approaches in principles of management and, integration of principles of management from four approaches into universal questionnaire can serve managers and researchers as an effective tool for investigation of a company's organizational management quality and managers or researchers can make a conclusion whether a company acts as an organization, that is, whether a company applies principles of management in its managerial activities, or not. The conducted research provides theoretical innovation to the existing literature on management.

**References:**

- Bagaturia, G. (2009). Strategic Planning. pp. 56-57. Retrieved May 3, 2011, from the World Wide Web:  
<http://www.gtu.edu.ge/publishinghouse/book4/bagaturia.pdf>
- Bagaturia, G., & Bagaturia, O. (2009).Cybernetic methods of strategic management. p. 78. Retrieved May 9, 2011, from the World Wide Web:  
<http://www.gtu.edu.ge/publishinghouse/book4/bagaturia,%20bagaturia%20A5.pdf>
- Bulov, A. V. (n.d.). H. Fayol. General and Industrial management. Retrieved November 15, 2010, from the World Wide Web:  
<http://www.acconcept.ru/science/abstracts/338-q-.html>
- Classical school of management. (n.d.).In CliffsNotes.com. Retrieved from the World Wide Web:  
[http://www.cliffsnotes.com/study\\_guide/Classical-Schools-of-Management.topicArticleId-8944,articleId-8851.html](http://www.cliffsnotes.com/study_guide/Classical-Schools-of-Management.topicArticleId-8944,articleId-8851.html)

- Cybernetics. (n.d.). Retrieved May 5, 2011, from the World Wide Web:<http://en.wikipedia.org/wiki/Cybernetics>
- Drucker, P. (2006). Effective executive. Retrieved October 27, 2010, from the World Wide Web:  
<http://best-resume.net/free/druker.htm>
- Economic article. Marketing online business. (2010). Retrieved November 5, 2010, from the World Wide Web:  
<http://www.lowonganbisnisonline.info/2010/06/henry-fayol-1841-1925-management.html>
- Elton Mayo. (n.d.). Retrieved May 31, 2011, from the World Wide Web:  
[http://en.wikipedia.org/wiki/Elton\\_Mayo](http://en.wikipedia.org/wiki/Elton_Mayo)
- Emerson, H. (1924). The twelve principles of efficiency. pp. 86, 123, 206-207, 297. Retrieved November 19, 2010, from the World Wide Web:  
<http://www.archive.org/details/twelveprinciples00emerrich>
- Frolov, S. S. (2001). Sociology of organizations. Retrieved November 29, 2010, from the World Wide Web:  
<http://www.i-u.ru/biblio/archive/sociolog/5.aspx>
- Grayson, Jr., C. J. (1991). American business: A two-minute warnings. Ten changes managers must make to strive into the 21st century. (I. S. Oleinik & S. P. Sementsov, Trans.).p. 18. Moscow: Ekonomika. (Original work published 1988).
- Keuning, D. (1998). Management. A contemporary approach. pp. 8-12, 16. London, Hong Kong, Johannesburg, Melbourne, Singapore, Washington DC: Pitman Publishing
- Kuznetsova, N. V. (2001). History of management. pp. 4-51, 59, 69. Retrieved October 27, 2010, from the World Wide Web:  
[http://window.edu.ru/window/library?p\\_rid=40967](http://window.edu.ru/window/library?p_rid=40967)
- Management innovations.(2008). Henry Fayol's 14 principles of management. Retrieved November 20, 2010, from the World Wide Web:  
<http://managementinnovations.wordpress.com/2008/12/04/>
- Managers-Net. (n.d.). Henry Fayol. Principles & functions of management. Retrieved November 20, 2010, from the World Wide Web:  
<http://www.managers-net.com/Biography/Fayol.html>
- Mescon, M. N., Albert, M., & Khedouri, F. (1999).Management. (M. A. Maiorova, E. V. Shuster, A. A. Bikovskii, A. K. Kushnirenko, E. V. Vishinskaiia & E. M. Popov, Trans.). p. 74. Moscow: Delo. (Original work published 1988).
- Pearce II, J. A., & Robinson, Jr., R. B. (1989).Management. pp. 43, 45, 46.New York: Random House.
- Seregina, V. V. (2005). Structures and models of an organization. Theory and practice of public development, 2. Retrieved November 23, 2010, from the World Wide Web:<http://teoria-practica.ru/index.php/-2-2005/178-2009-12-26-10-04-05/77-2009-07-04-19-37-41>

**ქრისტიანა ლახარიდი**  
**საწარმოს ორგანიზაციული მართვის ხარისხის შეფასების**  
**ინსტრუმენტი**

**რეზიუმე**

შემდეგი სტატია წარმოადგენს კვლევას რომელიც ჩატარებულია ორგანიზაციაში მენეჯმენტის პრინციპების გამოყენების მნიშვნელობაზე. მენეჯმენტის პრინციპები წარმოადგენს დინამიურ ელემენტს, რომელიც მხარს უჭერს ყველა ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობას. დღესდღეობით მენეჯმენტი არის მნიშვნელოვანი დისციპლინა რომელიც არის გადამწყვეტი თანამედროვე ცვალებად გარემოში. იმისათვის რომ იყოს ეფექტური ყოველმა ორგანიზაციამ უნდა მიმართოს მენეჯმენტის პრინციპებს თავის ყოველდღიურ პრაქტიკაში, რადგან ისინი გვეხმარებიან შესანიშნავი ორგანიზაციის დონის მიღწევაში.

ეს პრინციპები განისაზღვრება ცნობილი მეცნიერებებით, როგორცაა ემერსონი, ფაიოლი და ვებერი. ემერსონის, ფაიოლის და ვებერის განსაზღვრულ პრინციპებთან ერთად ჩვენ გამოვიყენებთ კიბერნეტიკულ მიდგომას მენეჯმენტში, რადგან კიბერნეტიკა არის მეცნიერება რომელიც შეისწავლის მენეჯმენტს.

ამ კვლევის მიზანია მენეჯმენტის პრინციპების აგება ორგანიზაციულ დონის შეფასებისთვის, რადგან მენეჯმენტის პრინციპები ემსახურება როგორც სახელმძღვანელო აზრებისთვის და ქმედებებისთვის. რაც უფრო გამოიყენება მენეჯმენტის პრინციპები, მით უფრო მაღალია ორგანიზაციის დონე. ასე რომ, ამ მიზნით, ზემოაღნიშნული მენეჯმენტის პრინციპები ინტეგრირებულია შეფასების ინსტრუმენტში, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი მკვლევართა რომელიც დაინტერესებულია გამოძიების ჩატარებაში და ორგანიზაციის დონის განსაზღვრაში.

**საკვანძო სიტყვები:** ემერსონი, ფაიოლი, ვებერი, კიბერნეტიკა, ხარისხის შეფასება

**რეცენზენტი:** პროფესორი გიორგი ბაღათურია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Кристина Лазариди**

**Инструмент для оценки качества организационного управления предприятия**

**Резюме**

Данная статья представляет исследование, которое подчеркивает важность применения принципов управления в деятельности организации. Управленческие принципы - это динамический элемент, который поддерживает жизнеспособность каждой организации. В настоящее время управление – это наиважнейшая дисциплина, которая крайне необходима для современной неустойчивой и изменчивой окружающей среды. Чтобы быть эффективной, каждая организация должна применять принципы управления в ее повседневной практике, поскольку они помогают организации достигнуть превосходного организационного уровня.

Эти принципы определены известными учеными, такими как Х. Эмерсон, Х. Файол и М. Вебер. Наряду с принципами, предложенными Эмерсоном, Файолом и Вебером, мы используем кибернетическую концепцию для управления, поскольку кибернетика - это наука, которая изучает управление.

Цель этого исследования состоит в том, чтобы создать инструмент для оценки организационного уровня, используя принципы управления, так как они служат директивой для мыслей и действий. Чем больше организация использует на практике принципы управления, тем выше ее организационный уровень. Для достижения этой цели вышеупомянутые принципы управления объединены в инструмент для оценки организационного уровня компании, который может быть использован исследователем, заинтересованному в проведении исследования организационного уровня.

**Ключевые слова:** Эмерсон, Файоль, Вебер, кибернетика, оценка качества

**Рецензент:** Профессор Георгий Багатуриа . Грузинский технический университет.



## თამარ რევაზიშვილი ეკოლოგიური ეთიკა და მღვდელი ბანვითარება

უძველესი დროიდანვე ადამიანმა ბუნებრივი რესურსების მოხმარება დაიწყო არაეკოლოგიური და ხშირ შემთხვევაში ბარბაროსული ფორმებით. ასე გრძელდებოდა მრავალი საუკუნის განმავლობაში XX საუკუნის მეორე ნახევრამდე, ვიდრე კაცობრიობა არ მიხვდა, რომ მისი ზეგავლენა ბუნებაზე უკიდურესად ნეგატიური და ზიანის მომტანია; რომ სწორედ ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება წარმოშობს დღეს არსებულ მრავალ კრიზისს: ეკოლოგიურს, დემოგრაფიულს, ფსიქოლოგიურს და ა.შ. დღეს ყველა მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ მოახლოებული ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კარდინალურად შეიცვალოს დამოკიდებულება ბუნების მიმართ ანუ თანამედროვე ყოფაში დომინირებული მსოფლმხედველობა შეიცვალოს ეკოლოგიური მსოფლმხედველობით. ამ მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ადამიანის და საზოგადოების ეკოლოგიური ეთიკის, მორალისა და ვალდებულებების შეგრძნების ჩამოყალიბება, რაც თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა აქციოს საკუთარი მოქმედებების მოტივად.

ხედავს რა მოახლოებულ ეკოლოგიურ კატასტროფას, საზოგადოება სულ უფრო მეტად ეძებს გამოსავალს მორალურ სრულყოფაში. ცნობილია, რომ ადამიანს ახასიათებს მომხდარის გაზვიადება, ჰგონია, რომ ყველაფერი, რაც მანამდე ხდებოდა იყო სამზადისი იმ პირობებისა, რომელშიც მას უწევს ცხოვრება და ამდენად არსებულს, ამჟამინდელ ყოფას მიიჩნევს დასასრულად ან დასასრულის მომასწავებლად, რაშიც ძალიან ცდება და ვერ ხედავს მომავლის პერსპექტივას. თუმცა, ასეთი შიში და შფოთვა მომავლის გამო გარკვეული თვალსაზრისით სასარგებლოც კია, ვინაიდან ის ჩვენში ნერგავს ეკოლოგიური ეთიკის დაცვის, ბუნებისადმი დამოკიდებულების შეცვლის აუცილებლობას [1].

როგორც ცნობილია, ეთიკა სიტყვა-სიტყვით ნიშნავს სწავლებას იმის შესახებ, თუ როგორ მოვიქცეთ, როგორ და რისთვის ვიცხოვროთ.

ეკოლოგიური ეთიკა კი არის გარემოსთან ადამიანის ურთიერთობის ეთიკა. ტერმინი „ეკოლოგიური ეთიკა“ ფენომენია, რომელიც ცოტა ხნის წინ წარმოიშვა და უკანასკნელ ათლეულებში ძალიან აქტუალური გახდა, თუმცა, გარკვეული შეშფოთება და ფილოსოფიური შეხედულება ბუნების მიმართ არასწორი და მომხმარებლური დამოკიდებულების გამო წინა საუკუნეებშიც შეინიშნებოდა. ახლა ეკოლოგიურ ეთიკაში იგულისხმება პიროვნებისა და ბუნების ურთიერთობის პრინციპების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ეკოსისტემის მთლიანობას და ადამიანის ცხოვრების

პირობების მაღალ ხარისხს. ის ემყარება გარკვეულ დებულებებს, რომლებიც ბუნებისა და კაცობრიობის ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა ე. წ. ეკოლოგიურ კულტურად [2].

გამოიმუშავეს რა ზნეობრივი ქცევის ნორმებს, როგორც ყოფით სიტუაციებში ისე პროფესიულში, ეკოლოგიური ეთიკა აყალიბებს ახალ მენტალიტეტს ბუნებრივი გარემოს მიმართ. თუმცა, ეკოლოგიური ეთიკა არ არის ცალკეული პიროვნებებისა და საზოგადოების ეთიკა დაფუძნებული ეკოლოგიური კულტურის იმპერატივებზე, არამედ ეს არის კაცობრიობის საქმიანობის ეთიკა, მიმართული ბუნებისა და ადამიანური ყოფის შენარჩუნება-განვითარებისკენ.

ეკოლოგიური ეთიკა პრაქტიკული დისციპლინაა. მრავალი ეკოლოგიური პრობლემა, როგორცაა: გარემოს დაბინძურება, ველური ბუნების განადგურება, კლიმატის ცვლილება და სხვა, არ გვარდება მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებებით. ისინი პრაქტიკულად სოციალური პრობლემებია და მათი გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი მსოფლმხედველობითი პოზიციებისა და ფასეულობების პირობებში, რომლებიც აღიარებენ მორალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას მსგავსი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. ეკოლოგიური ეთიკა არ უნდა დარჩეს თეორიულ ცნებად, უფრო მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკაში დანერგვა და განვითარება. სწორედ ამიტომაც დღეს მწვავედ დგას საკითხი, რომ მოსახლეობის ეკოლოგიური განათლება, ცნობიერების კულტურა და ეთიკის განვითარება სასკოლო ასაკიდანვე დაიწყო [3].

ადამიანთა ერთობლიობას საზოგადოებად აყალიბებს სოციალური კანონები, დისციპლინის სხვადასხვა ფორმები, რომელთაგან ერთ-ერთი მორალია. ის ადამიანის ქცევას არეგულირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში – შრომაში, ყოფაში, პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ოჯახში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ამავე სფეროებში მორალის გარდა მოქმედებს ქცევის სხვა რეგულატორებიც: სამართლებრივი ნორმები და სახელმწიფო დეკრეტები, საწარმო-ადმინისტრაციული განაწესი, ორგანიზაციული წესდებები და ინსტრუქციები, თანამდებობის პირთა მითითებები. ისტორიულად ცნობილია, რომ საზოგადოებრივი დადგენილებები სწორედ მორალისა და ეთიკური ნორმების მითითებით ყალიბდება და დროთა განმავლობაში იძენს იურიდიულ მნიშვნელობას და სამართლებრივი ნორმები ხდება. გარემოს დაცვის სფეროში ცოტა სხვაგვარად ხდება. ბუნების უკონტროლო ექსპლუატაციის შედეგები და აქედან მომავალი საფრთხეები თავდაპირველად შენიშნეს კომპეტენტურმა მეცნიერებმა და გარემოს დამცველებმა, სწორედ მათ ატეხეს განაგაში და შეეცადნენ მიექციათ საზოგადოებისა და

მმართველი წრეების ყურადღება. რომის კლუბისადმი წარდგენილი ანგარიშებით მათ მოახერხეს ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის ყურადღების მიქცევა, როგორცაა გაერო. 1978 წლის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო კავშირის განერალურ ასამბლეაზე მიღებულ იქნა გარემოს დაცვის მსოფლიო სტრატეგია, მოგვიანებით, გაეროს XXXVII გენერალურმა ასამბლეამ 1982 წელს მიიღო ეკოლოგიური ეთიკის ამდღარებელი პირველი საერთაშორისო დოკუმენტი – „გარემოს დაცვის მსოფლიო ქარტია“, რომელმაც მსოფლიო ქვეყნებს დააკისრა პასუხისმგებლობა პლანეტისა და მისი სიმდიდრეების მდგომარეობაზე. ეკოლოგიური ეთიკა ცოცხალი ჩამორჩა ოფიციალურ გადაწყვეტილებებს, რაშიც გამოიხატება მისი განვითარების თავისებურება. ეკოლოგიური ეთიკა ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. მისი ფუძემდებლებად ითვლებიან ო. ლეოპოლდი და ა. შვეიცერი. მათ პირველებმა მოგვაწოდეს თეზისი, რომ ცოცხალ არსებას უნდა მოვეპყრად ისე, როგორც ჩვენ თავს და ჩვენნიარებს, და არა როგორც უსულო საგნებს; რომ ყველა ცოცხალ არსებას აქვს მორალური უფლება, ვინაიდან არსებობს და გააჩნია გარკვეული შინაგანი ფასეულობანი. ახლა უკვე ბუნების სამართალი ადამიანსა და ბუნებას აღიარებს, როგორც მორალურ პარტნიორებს და ადგენს ბუნების მიმართ ადამიანის სამართლიანი მოპყრობის ნორმებს. საზოგადოებამ უნდა აღიაროს და დაიცვას ბუნების უფლებები: უფლება არსებობაზე, ადამიანის მხრიდან მართვისა და კონტროლისგან გათავისუფლება, იურიდიული დაცვის უფლება [4]. სამწუხაროდ, ეს ხშირად არ ხდება. ჩვენ ამ უფლებებს ვარღვევთ ისე, რომ საამისოდ დასაბუთებული მიზეზიც კი არ გვაქვს. ეკოლოგიური ეთიკის ძირითადი პრინციპებია: არ ავნო, დაიცავი ბუნების უფლებები, არ ჩაერიო ბუნების კანონებში, ანაზღაურე ზიანი.

ამგვარად, ეკოლოგიური ეთიკა მოგვიწოდებს არაძალადობრივ ბუნებათსარგებლობისკენ, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის პარმონიზაციისკენ. სეულის 1977 წლის საერთაშორისო კონფერენციის დეკლარაციაში ეკოლოგიური ეთიკის შესახებ ნათქვამია: სიცოცხლის მთელი სისტემის ფასეულობათა შენარჩუნების მიზნით ჩვენ მოვითხოვთ, ეთიკური პარადიგმის მიღებას, რომელიც დამყარებული იქნება სოციალურ თანასწორობაზე, თანამშრომლობის კულტურასა და მრავალფეროვნებაზე და, ასევე, საყოველთაო პასუხისმგებლობაზე [5]. როგორც ვხედავთ, ეკოლოგიური ეთიკა ამკვიდრებს ბუნებისა და საზოგადოების ფასეულობათა ერთიანობას. ეკოლოგიური ეთიკის თვალსაზრისით ადამიანის უფლებები განუსაზღვრელი არ არის და ისინი ბუნების „ინტერესებთან“ უნდა იყოს შეთანხმებული, რათა

წინააღმდეგობაში არ მოვიდნენ არც ბუნებრივ ეკოსისტემებთან და არც სხვათა უფლებებთან – იცხოვრონ ჯანმრთელ გარემოში.

მისასაღმებელია, რომ გაეროს მდგრადი განვითარების ორგანიზაციის კონფერენციამ რიო+20<sup>4</sup>, რომელიც 2012 წლის ივნისში რიოს პირველი კონფერენციიდან (1992 წ.) 20 წლის შემდეგ კვლავ რიოში ჩატარდა და რომელსაც ესწრებოდნენ 192 ქვეყნის პირველი პირები და მთავრობის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ჟურნალისტები (სულ 45 ათასი კაცი), შემაჯემებელ დოკუმენტში „მომავალი, რომელიც გვინდა“, კიდევ ერთხელ დაამტკიცა ქვეყნების მმართველებისა და სამოქალაქო საზოგადოების სურვილი და მზაობა ჩამოაყალიბოს ბუნებასთან ჰარმონიზაციაზე ორიენტირებული სამართლიანი და დემოკრატიული საზოგადოება.

ახალი ცივილიზაციის პარადიგმა ეკოლოგიური ეთიკა და მდგრადი განვითარებაა. როგორც ცნობილია, მდგრადი განვითარების სტრატეგია მიმართულია ჰარმონიზაციის მიღწევაზე ადამიანებს შორის, ბუნებასა და საზოგადოებას შორის, მდგრადი განვითარების მისაღწევად კაცობრიობამ ისე უნდა დააღაგოს ურთიერთობები, ერთი მხრივ, საზოგადოების წევრებს შორის, მეორე მხრივ, ბუნებასა და ადამიანებს შორის, რომ მიუახლოვდეს „ჰარმონული საზოგადოების იდეალს“. მდგრადი განვითარების მიღწევა შეუძლებელია, თუ არ იქნა დაცული დინამიური წონასწორობა პირადულსა და საზოგადოებრივს შორის, მატერიალურსა და სულიერებას შორის.

ცნობილია, რომ არსებობს ფუნქციონალური დამოკიდებულება სიცოცხლისუნარიანობასა და მორალურ სულს შორის, სოციალურ სტაბილურობასა და სოციუმის ზნეობრივ კულტურას შორის. მოკლედ რომ ვთქვათ, საზოგადოების მდგრადი განვითარება შეუძლებელია ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილების გარეშე, საზოგადოების მატერიალურ-მომხმარებლივი იდეოლოგიიდან ეკოლოგიურ-ეთიკურ ღირებულებებით სავსე ჰუმანურ იდეოლოგიაზე გადასვლის გარეშე. სხვა გზა მდგრადი საზოგადოების ჩამყალიბებისა არ არსებობს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მდგრადი განვითარების კონცეფციის ერთ-ერთი პრინციპია სამართიანი დამოკიდებულება მომავალი თაობების მიმართ, რაც თავისთავად გულისხმობს ზნეობრივ პროგრესს, ცივილიზაციის შეცვლას ანუ კაცობრიობის თანდათანობით გადასვლას მატერიალური ცივილიზაციიდან ეკოლოგიურ ცივილიზაციაში. ეკოლოგიური ცივილიზაცია უნდა აღვიქვათ, როგორც კაცობრიობის მომავალი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით სიცოცხლის ერთიანი სისტემის შენარჩუნების იდეალური ფორმა.

## ლიტერატურა

### References:

1. Мейси Дж. Единая Экология. Урок взаимности. В кн.: Один мир для всех: контуры глобального сознания, М.: 1990.
2. Мишаткина Т.В., Кундоса С.П. Основы экологической этики: учеб. пособие. Минск, МГЭУ им. А. Д. Сахарова, 2008.
3. რევაზიშვილი თ. ეკოლოგიური განათლება მდგრადი განვითარებისათვის. ჟურნალი ხელისუფლება და საზოგადოება №4 (24), ტ.2. გვ. 88-94. 2012.
4. Жибуль Н.Я. Экологические потребности: сущность, динамика, перспективы. М.: 1991.
5. Сеульская декларация по экологической этике. Зеленый мир, № 8, 1998.

### Tamara RevaziSvili

### Environmental Ethics and Sustainable Development

#### Summary

Since ancient times, people began to consume natural resources are not environmental, consumer, and often barbaric forms, creating the basis for many environmental, demographic or psychological problems. Today, every thinking person realizes that in order to prevent impending environmental catastrophe will take a big change in the attitude to nature that is to replace the dominant worldview today ecological worldview. In this regard, one of the main issues is the environmental ethics of man and society, an enhanced sense of moral responsibility, which in turn should be the primary motive of action.

Environmental ethics is creating a new mentality in relation to the environment, aimed at the preservation and development of nature and human existence. For the practical implementation of environmental ethics is an issue that the environmental education, the culture of thinking and ethical development began with school children.

The paradigm of a new civilization is environmental ethics and sustainable development. To achieve sustainable development need to establish such relations between the members of society, between nature and people, to be close to the "Ideal of a harmonious society." That, in turn, can not be achieved without the moral perfection of man.

**Keywords:** Environmental Ethics, Sustainable Development

**Reviewer:** Professor Zizi Svanidze , Georgian Technical University

**Тамара Ревазишвили**

**Экологическая этика и Устойчивое развитие**

**Резюме**

Издревле человек начал потреблять природные ресурсы не экологическим, потребительским и часто варварскими формами, создав тем самым основу многих экологических, демографических или психологических проблем. Сегодня каждый мыслящий человек догадывается, что для предотвращения приближающегося экологической катастрофы необходимо кардинальное изменение отношения к природе, то есть заменить доминирующее сегодня мировоззрение экологическим мировоззрением. В этой связи одним из основных вопросов является формирование экологической этики человека и общества, осознание чувства моральной ответственности, что в свою очередь должно стать основным мотивом действий.

Экологическая этика формирует новый менталитет по отношению к природной среде, направленной на сохранение и развитие природы и человеческого бытия. Для практического внедрения экологической этики остро стоит вопрос о том, чтобы экологическое образование, культура мышления и этическое развитие началось с школьного возраста.

Парадигмой новой цивилизации является экологическая этика и устойчивое развитие. Для достижения устойчивого развития необходимо установить такие отношения между членами общества, между природой и людьми, чтобы приблизится к «Идеалу гармоничного общества». Чего, в свою очередь, невозможно достичь без нравственного совершенствования человека.

**Ключевые слова:** Экологическая этика, устойчивое развитие,

**Рецензент:** Профессор Зизи Сванидзе. Грузинский технический университет.

# ი ს ტ ო რ ი ა

## ჰენრი ოუპრაჰშილი ერთი მოვლენის დიალექტიკური და პოლიტიკური ასპექტები

რუსეთს იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წელს დადებული ხელშეკრულების, ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ რუსეთის ხელისუფლების მიერ იგნორირებამ, საბოლოოდ კი „მეგობრად“ მოსულის მიერ საქართველოს ანექსიამ მოტყუებული ქართველის ცნობიერებაში ღრმა და ტკივილიანი კვალი დატოვა. მაშინ არც არავინ გამოგვასარჩლებია და არც შემდგომში გახსენებია ვინმეს ეს ფაქტი. მსოფლიოს თუ დაავიწყდა, ქართველ კაცს არ დავიწყებია რუსეთის მიერ ჩადენილი სიმუხთლე, რომელმაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა შეიწირა.

ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვვხებით საქართველო რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში, თვალნათლივ გამოკვეთილ რუსეთის მხრიდან საქართველოსთან (ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან) დადებულ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა თვითნებურად, ცალმხრივად მრავალგზის უხეშად დარღვევის ფაქტებს. მაგალითად, 1803 წელს – სამეგრელოს სამთავროსთან, 1804 წელს – იმერეთის სამეფოსთან, 1810 წელს – გურიის, 1810 წელს – აფხაზეთის, 1833 წელს – სვანეთის სამთავროებთან, მოგვიანებით, 1920 წლის - საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და სხვა (მითუმეტეს არ ვვხებით ”წვრილმან” ცოდვებს: რუსული სიმუხთლის შედეგად ვახტანგ VI-ის და მთლიანად ქართლის ელიტარული საზოგადოების რუსეთში გადახვეწა; გენერალ ტოტლებენის მიერ რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის დადებული შეთანხმების უხეშად დარღვევა და სხვ.) [1].

როგორც აღინიშნა, რუსეთის ხელისუფლებამ საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტით აღებული ვალდებულებების იგნორირებით, 1783 წლის ხელშეკრულების თვითნებურად და ცალმხრივად დარღვევის შემდეგ, 1801 წელს დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო.

რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წელს დადებული ხელშეკრულება საფუძვლიანადაა გაანალიზებული პარიზის უნივერსიტეტის (სორბონი) საერთაშორისო სამართლის პროფესორის, ლუი ლე ფურის (Luis le Fur, 1870-1943), 1932 წელს პარიზში, ფრანგულ ენაზე გამოცემულ შრომაში “საქართველო და საერთაშორისო უფლება” [2].

ფრანგი ექსპერტი, მსჯელობს რა ამ ხელშეკრულების, ე.წ. “გეორგიევსკის ტრაქტატის” შესახებ, ასაბუთებს, რომ ხელშეკრულებით “ორივე მხარე აღიარებს ურთიერთის განსაზღვრულ უფლებებს და იღე-

ბენ ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ. მე-12 მუხლი გადაჭრით აცხადებს, რომ ხელშეკრულების ყოველგვარი შეცვლა “შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთთანხმობით”. აქედან უდავოა, რომ ჩვენ წინაშეა საერთაშორისო ხელშეკრულება, დადებული ორ სწორუფლებიან სახელმწიფოს შორის და საერთაშორისო უფლების ორ სუვერენულ პიროვნებას შორის” (ხაზი ჩვენია – ჰ.კ). ამის შემდეგ, ლუი ლე ფური ამომწურავ იურიდიულ შეფასებას აძლევს რუსეთის მხრიდან ამ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტებს.

ფრანგი ავტორი ავითარებს რა ამ მოსაზრებას ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის მაშინდელ, სხვა ცნობილ ევროპელ ავტორიტეტებს: ვატელს [3], ა. ვერდროსას [4], ჯ. კუნცს [5], ფ. ფონ ლისტს [6], ლ. ოპენჰაიმს [7] და სხვ.

რუსეთმა არ შეასრულა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი არცერთი ვალდებულება. მაგალითად, 1795 წელს სპარსეთის ქართლ-კახეთზე თავდასხმის დროს, რუსეთი ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას არ ასრულებს და არ მიეშველა საქართველოს. აღიარებული საერთაშორისო ნორმებით ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ათავისუფლებს მეორე მხარეს საკუთარი ვალდებულებებისაგან. ვატელმა, რომელიც თითქმის ამ ამბების თანამედროვე იყო, განსაკუთრებული სიღრმით შეისწავლა პროტექტორატის ხელშეკრულების გაუქმების საკითხი და დაასკვნა: ”როდესაც რომელიმე ერი სდგება მეორე, უფრო ძლიერის, ერის პროტექტორატის ქვეშ, ან კიდევ დაექვემდებარება მას მფარველობის მისაღებად, და ეს უკანასკნელი არ გაუწევს ნამდვილ მფარველობას, და ამიტომ ჰკარგავს ყველა უფლებას, რომელიც ხელშეკრულებამ მიანიჭა, ხოლო მეორე მხარეც თავისუფლდება ყოველი მოვალეობისაგან, რომელიც თავის თავზე მიიღო, იბრუნებს ყველა თავის უფლებებს და აღიდგენს თავის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას” [2].

საბჭოთა ისტორიოგრაფია კი, პირიქით, საერთაშორისო სამართლის ევროპელი სპეციალისტების საპირისპიროდ, ტენდენციურად ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ ეს ხელშეკრულება წარმოადგენდა არათანასწორუფლებიან სახელმწიფოთა შეთანხმებას და, აქედან გამომდინარე, რუსეთის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევას თვლიდა ლოგიკურად [8].

როგორც ლე ფური და ნიპოლდი აღნიშნავენ: ”ჩვენს წინაშეა საერთაშორისო შეთანხმება ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის დადებული. იგი აწესებს მათ შორის პროტექტორატის წყობილებას, რომელიც განსაზღვრულ უპირატესობას ანიჭებს რუსეთს, სახელმწიფოს, პროტექტორს. ხოლო ეს უპირატესობა სრულებით არ შელანჯავს საქართველოს სახელმწიფოებრივ ხასიათს; იგი სტოვებს, თუმცა შესუსტებუ-



**ლად, ამ სახელმწიფოს საერთაშორისო პიროვნებადაც** (ხაზი ჩვენია-ჰ.კ.), რომელიც სდგება მხოლოდ მფარველობის ქვეშ. მაგრამ 1783 წლის ხელშეკრულება მეტია ვიდრე პროტექტორატის ხელშეკრულება, ის იმავე დროს კავშირისა და მეგობრობის ხელშეკრულებაა (იხილე მისი შესავალი), რომელიც აწესებს არბიტრაჟს იმ შემთხვევისთვის, თუ მხარეთა შორის რამ უთანხმოება ჩამოვარდა. ასეთი დებულებანი საზოგადოდ შესაძლებელია მარტო იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან და სარგებლობენ თავის სუვერენობას” [2]. ეს არის სამართლის დარგში აღიარებული ევროპელი ექსპერტების კომპეტენტური დასკვნა და არა პოლიტიკურად ანგაჟირებული საბჭოთა მეცნიერების მიერ გამოთქმული, დამპყრობელი რუსეთის ხელისუფლებისათვის მისაღები ტენდენციური აზრი.

იმპერიის კლანჭებში მოქცეული საქართველო ვერ პოულობდა შესაძლებლობას სათანადო დატვირთვის მქონე პასუხი გაეცა და რუსეთისა და მსოფლიოსათვის შეეხსენებია იმპერიის მიერ ჩადენილი უსამართლობის ეს ფაქტი. მაგრამ დადგა ისეთი მომენტიც, როდესაც ასეთი შესაძლებლობა გაჩნდა... და საკითხი ორიგინალური დიპლომატიური სახით იქნა წამოწეული.

კრემლის მითითებით XX საუკუნის 60-70-იანი წლების საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა მორიგი პოლიტიკურად მიზანმიმართული კამპანია-ფარსი: რუსეთის იმპერიის ხალხები ზემოთ აღნიშნავდნენ საკუთარი ტერიტორიების რუსეთთან „ნებაყოფლობით“ შეერთების” საიუბილეო თარიღებს (ზარზეიმით ხორციელდებოდა ამგვარი თარიღების აღნიშვნა უკრაინაში, იაკუტიაში, სომხეთში...).

მოსკოვის მიერ გაცემული დირექტივის შესაბამისად საქართველოშიც დაიწყო ანალოგიური ღონისძიების ჩატარებისათვის მზადება. მაგრამ ამ მზადებას გარკვეული გაუგებრობები ახლდა. მაგალითად, მაშინდელმა საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ ამ ღონისძიებისათვის მიძღვნილ სპეციალურ მოხსენებაში 1976 წელს აღნიშნა, რომ საქართველოს 1983 წელს უნდა ეხეიმა საქართველოს რუსეთთან **შეერთების** 200 წლისთავი, რომელიც მოიცავდა 1783-1983 წლების პერიოდს.

ვინაიდან საქართველოში ყველასათვის ცალსახად იყო ცნობილი, რომ **რუსეთმა ქართლ-კახეთი 1801 წელს შეიერთა და შესაბამისად „საიუბილეო“ თარიღიც 2001 წელზე მოდიოდა**, გასაგები რეაქცია და საყოველთაო გააკვირვება გამოიწვია ე.შევარდნაძის მიერ, ერთი შეხედვით, ასეთი “უზუსტობის” დაშვებამ. (1976 წელს ე.შევარდნაძის მოხსენებით გამოწვეული უარყოფითი მუხტი პატრიოტებში იმდენად ძლიერი იყო, რომ ახალგაზრდების ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ძმები კახა და გია ცხოვრებაძეები, ამ წერილის ავტორი და

სსკ. მაშინვე გადაწყვიტა რუსეთთან შეერთების “იუბილე” აღნიშნა 1983 წელს ლენინის მოედანზე ლენინის ძეგლის აფეთქებით. მაგრამ ადგილის შესწავლის შემდეგ, გაირკვა, რომ მათ ძალებს აღემატებოდა ამ აქტის განხორციელება (თანაც ტერმინაც “შეერთება” განიცადა ტრანსფორმაცია) და განზრახვაზე ხელი აიღეს. გაზ. “საქართველო”, №5 (1635), 1998 წლის 21-23 იანვარი.) ბევრმა ეს ფაქტი ე. შვეარდნაძის კრემლისადმი მორიგი მლიქვნელობის გამოვლინებად კი მიიჩნია, მაგრამ, ამასთან ძალიან ძნელი დასაჯერებელი ხდებოდა, რომ ისეთი დონის სახელმწიფო მოღვაწეს, (თანაც სპეციალობით ისტორიკოს), როგორც შვეარდნაძე იყო, ასეთი უხეში შეცდომა დაეშვა, კრემლისათვის იმ დონეზე „გაეგორებია“, რომ საჯაროდ გაეყალბებინა ქართველებისთვის მეტად მტკივნეული „ასპროცენტიანი“ ისტორიული თარიღები.

მაშინდელ პრესაშიც ატყდა აურზაური აღნიშნული ფორმულირების გამო. გამოჩნდნენ ისეთი ისტორიკოსებიც, რომლებმაც სერიოზულად დაიწყეს ამ „უზუსტობის“ გამართლებისათვის „არგუმენტების“ ძებნა, რათა საქართველოს ხელმძღვანელი „აშკარა გაბითურებისაგან ეხსნათ“.

იმ პერიოდში, ინფორმაციის ნაკლებობისა და ემოციებით დამუხტულ ატმოსფეროში, საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის ძნელი გასარკვევი იყო, რა ხდებოდა მოვლენის ობიექტურად პოლიტიკური გააზრების თვალსაზრისით. ამიტომაც გასაკვირი არ იყო მაშინ ატეხილი ემოციური აურზაური (ცხადია, არაოფიციალურ დონეზე, საბჭოთა ქვეყნის ჩარჩოებში). მაგრამ თუ გულისყურით გავაანალიზებთ მომხდარს, სხვა კუთხით დავაკვირდებით მიმდინარე პროცესებს, არ შეიძლება არ დავინახოთ ამ „ზეიმობაში“ მნიშვნელოვანი მომენტი.

ამ მოვლენის შეფასებისას ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება, აღნიშნულ ზეიმობასთან დაკავშირებით 1976-1983 წლების ქართულ ცენტრალურ პრესის ანალიზისას, შეიმჩნევა ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერება: 1976 წელს შვეარდნაძის მიერ შემოთავაზებული და შემდეგ პრესაში აფიტირებული ტერმინი „რუსეთთან შეერთება“ განიცდის ტრანსფორმაციას, იგი თანდათან იცვლება და საბოლოოდ 1983 წლისათვის იძენს იმ შინაარსს, რომ რესპუბლიკას უნდა ეხეიმა არა საქართველოს რუსეთთან შეერთების თარიღი, არამედ უნდა აღნიშნულიყო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების - ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადებიდან 200 წლის იუბილე. ე.ი. ფაქტობრივად საქართველო აღნიშნავდა კრემლის დირექტივის საწინააღმდეგოდ, არა საქართველოს რუსეთთან “ნებაყოფლობითი” შეერთების, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის, ქართველების მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საიუბილეო თარიღს, არამედ, აღნიშნავდა, ორ დამოუკიდებელ

**სახელმწიფოს – ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებული ხელშეკრულების საიუბილეო თარიღს.**

დიპლომატიას თავისი როული, სპეციფიკური ენა აქვს, გამოირჩევა აზრის გამოხატვის თავისებურებებით. ქართველობამ სწორედ ამ ენაზე კრემლის დირექტივას იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში არსებული შესაძლებლობის შესაბამისი, ძალიან ღრმად გააზრებული დაშიფრული პოლიტიკური სვლით უპასუხა. რაც ჩვეულებრივ ენაზე ნიშნავდა, რომ ბედის უკუდმართობით სხვის სახელმწიფოში მოქცეულმა, რუსეთის საბჭოთა იმპერიაში შემავალმა, დამოუკიდებლობა დაკარგულმა საქართველომ, მიუხედავად იმუამინდელი გამოუვალი მდგომარეობისა, მაინც გაიხსენა რუსეთის ხელისუფლების მიერ ხელმოწერილი „გეორგიევსკის ტრაქტატი“, რომელიც იგნორირებული იყო რუსეთის მხარის მიერ და რომლის შესრულებისკენ მას მუდამ მოუწოდებდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის აჯანყებული საქართველო (1801 წლის შეთქმულება და გამოსვლები, 1802 წლის ამბოხი, 1804 წლის მთიანეთის აჯანყება, აჯანყება კახეთსა და მთიანეთში 1812-1813 წწ. და სხვ. სადაც ყველგან წამოყენებული იყო რუსეთის მიერ ტრაქტატის შესრულების უმთავრესი მოთხოვნა)[9] და ამით ცივილიზებული მსოფლიოს პოლიტიკურ ელიტას კიდევ ერთხელ შეხსენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულების არსებობა და ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ დაუვიწყებელი სწრაფვა. მაშასადამე, საქართველო საბჭოთა იმპერიის პირობებშიც არ ივიწყებდა „გეორგიევსკის ტრაქტატის“ საფუძველზე რუსეთთან ურთიერთობების შესახებ, რომელიც, როგორც აღინიშნა იმპერიის ხელისუფლებას არასოდეს შეუსრულებია და არც უცდია მისი შესრულება. (იმ ეტაპზე, ყველაზე რადიკალურად განწყობილი პატრიოტიც კი არ იტყოდა უარს რუსეთთან „ტრაქტატულ“ ურთიერთობებზე, იმდენად უპერსპექტივო ჩანდა მაშინ იმპერიის დანგრევა ახლო მომავალში). ფაქტია, რომ ქართველობამ არ გაუშვა ხელიდან შესაძლებლობა, ისარგებლა მომენტით და კრემლის მითითება ქვეყნის ინტერესების დასაცავად გამოიყენა, დაანახა მსოფლიოს პოლიტიკურ საზოგადოებას, რომ საქართველო არავის არ უნდა ჩაეთვალა პოლიტიკურად ჩამოწერილ ქვეყნად.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ე.შევარდნაძეს თავიდანვე ჰქონდა გათვლილი ასეთი შედეგი. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი 1976 წლის მოხსენება უფრო კრემლის დირექტივის შესრულებაზე იყო ორიენტირებული. მხოლოდ შემდგომ ხდება „თავში ხელის შემორტყმა“, ამ ყოველად ამაზრხენი „ზეიმობიდან“ თავის დაძვრენისა და ღირსეულად გამოსვლის გზების ძიება. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ

ფაქტია, ედუარდ შევარდნაძემ პოლიტიკური ქულებიც აართვა რუსეთს, კრემლის დავალების ეფექტურად შესრულების ილუზიაც შექმნა და, ამასთან, თავიდანაც აიცილა ანექსიის ფაქტის სახეიმო აღნიშვნა, როგორც მაგალითად, ეს 1901 წელს მოხდა საქართველოში, როდესაც 100 წლის იუბილე აღინიშნა. (სტუმართა შორის იყვნენ კავკასიის მეფისნაცვლად ნამყოფი, იმუამად სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი. მას ახლდენ საბერძნეთის დედოფალი და დიდი მთავრები. რუსეთის თავადაზნაურობის სხვადასხვა გუბერნიების წინამძღოლნი. მოსკოვისა - თავადი ტრუბეცკოი, კიევის - რეპნინი, ვილნოს - პლატერი, პეტერბურგის - ზინოვიევი და სხვ.) ანუ მან ფაქტიურად ორი კურდღელი დაიჭირა. **შეასრულა კრემლის დავალებაც და ხარკი გადაუხადა ქართული საქმესაც.**

ჩვენის აზრით, ეს იყო ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და დიპლომატიის ისტორიაში ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი, იმიტომ რომ ეს მოხდა **იმ მომენტში, იმ სიტუაციაში, იმ ძნელად დასაფიქრებელ პოლიტიკურ ატმოსფეროში, რომელშიც საქართველო იმყოფებოდა და რომლის პოლიტიკურად გაცნობიერება დღეს ბევრს გაუჭირდება (დღეის გადასახედიდან იმდენად წარმოუდგენელია). მაქსიმალურად იქნა გამოყენებული შესაძლებლობა და გადაიდგა საკმაოდ გაბედული და თამამი, ფართო აუდიტორიისათვის ეგებ ძნელად წასაკითხი, მაგრამ პოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზრისით ორიგინალური ნაბიჯი.**

ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის განმავლობაში არ გვქონდა საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო (თუ არ ჩავთვლით XX საუკუნის დასაწყისში 2 წლისა და ათი თვის დამოუკიდებლობას, რომელიც ასევე ხელშეკრულების უხეში დარღვევით მუხანათურად მოსპო რუსეთმა), შესაბამისად დაკარგული გვქონდა საკუთარი პოლიტიკის კეთებისა და დიპლომატიური საქმიანობის გამოცდილება, გამოჩნდა, რომ ქართული პოლიტიკური და დიპლომატიური ნიჭი კვლავ ფხიზლობდა და მომავლის იმედს არ აქრობდა.

**ლიტერატურა**  
**References:**

1. კუპრაშვილი ჰ. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი XIX საუკუნის პირველ ნახევარში. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2011. ISBN 978-9941-14-978-8
2. ლუი ლე ფური. საქართველო და საერთაშორისო უფლება (თარგმანი ფრანგულიდან). „დამოუკიდებელი საქართველოს“ გამოცემა, №3, პარიზი, 1933 (იხილეთ, გურამ შარაძის პუბლიკაცია. გაზ. „კომუნისტი“, 19 წლის 1 სექტემბერი. <http://200years.freeuni.edu.ge/index.php/2012-05-04-10-19-40/2012-05-07-15-56-26/119-2012-09-14-16-27-00?showall=&start=3>
3. Vattel. Droits des gens. 1830.
4. Verdross A. Die Verfassung der volkerrechtsgemeins. Wien, 1926.
5. Kunz J. Die Staatenverbindungen. Stuttgart: V.Kohlhammer, 1929. <https://portal.d-nb.de/opac.htm?jsessionid=A9B174C3E7579E72D683B2FF3E7C58BF.prod-worker5?now=1314730377051&currentResultId=Woe%253D135949548%2526any&method=showShortList&view=redirect%3A%2Fopac.htm&isInternal=false>
6. Liszt F.Von, Das Volkerrecht. 6th ed. 1910. [http://books.google.ge/books?id=kQwYY7whLxwC&pg=PR11&lpg=PR11&dq=lizt+das+volkerrecht&source=bl&ots=5E\\_0Y6WjLJ&sig=IBEyRU1LZCEkYb1wj5Ex1n-4fkW&hl=ka&ei=CzRdT3bNOjN4QT9xogW&sa=X&oi=book\\_result&ct=result&resnum=19&ved=0CJ0BE0gBMBI#v=onepage&q&f=false](http://books.google.ge/books?id=kQwYY7whLxwC&pg=PR11&lpg=PR11&dq=lizt+das+volkerrecht&source=bl&ots=5E_0Y6WjLJ&sig=IBEyRU1LZCEkYb1wj5Ex1n-4fkW&hl=ka&ei=CzRdT3bNOjN4QT9xogW&sa=X&oi=book_result&ct=result&resnum=19&ved=0CJ0BE0gBMBI#v=onepage&q&f=false)
7. Oppenheim L. Future of International Law. 1921. [http://books.google.com/books/about/International\\_law.html?id=G8NAAAAIAAJ](http://books.google.com/books/about/International_law.html?id=G8NAAAAIAAJ)
8. იხილეთ, სურგულაძე ივ. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან. თბ., 1965, გვ. 291; ებანოძე ლ. ნიკოლოზ ბართაშვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი საქართველოში. თბ., 1968, გვ. 28, 36 და სხვ.
9. კუპრაშვილი ჰ. „დიდი რუსიანობა“ საქართველოში. XIX საუკუნის პირველი ნახევარი. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011. გვ 31-56

**Henri Kuprashvili**  
**Diplomatic and political aspects of one event**

**Summary**

The treaty signed between Russia and Kingdom of Kartl-Kakheti in 1783 is thoroughly analyzed by Luis le Fur, professor of international law at Paris (Sorbon) university, in his writing (in French) “Georgia and International Right”, which was published in Paris in 1932.

In the 60’s and 70’s of XX century Soviet Union, a politically motivated campaign of lie was underway in full accordance with Kremlin directives: people of Russian Empire were celebrating anniversaries of “voluntary” accession of their territories with the Russian Empire (such celebrations were held in Ukraine, Yakutia, Armenia etc).

Former Georgia’s communist ruler Eduard Shevardnadze in 1976 declared that Georgia must have celebrated, in 1983, the 200<sup>th</sup> anniversary of its accession to Russia, which included period of 1783-1983. As it was well known that Kart-Kakheti was joined to Russia in 1801 and thus “anniversary” year would be 2001, a “mistake” in a date, made by E. Shevardnadze attracted a general astonishment.

One circumstance which attracts particular attention is that in Georgia’s central press, during 1976-1983, in relation to the above-mentioned celebration there is 1 important conformity: a term proposed by E. Shevardnadze “Georgia’s accession to Russian Empire”, which was widely circulated in press, was being gradually transformed and eventually in 1983 it acquired the meaning that Republic of Georgia must have celebrated not the anniversary of its accession to Russian Empire, but instead it must have been celebrated 200<sup>th</sup> anniversary of Russian-Georgian Treaty (so called “Treaty of Georgievsk”). It meant that Georgia, in violation of Kremlin directive, was not celebrating the anniversary of its “voluntary” accession to Russian Empire, which in fact was an anniversary of annexation of Georgia by Russian Empire resulting in loss of statehood of Georgian people. Instead it meant that Georgia was celebrating an anniversary of treaty entered into by 2 independent states – Kingdom of Kartl-Kakheti and Russian Empire. Political elite of civilized world was once again reminded of existence of the treaty signed between 2 independent states and of lasting aspiration of Georgian people to restore its independence.

**Keywords:** Eduard Shevardnadze, Georgia, Russia, “Treaty of Georgievsk”

**Reviewer:** Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**Генри Купрашвили**

**Дипломатические и политические аспекты одного события**

**Резюме**

По указанию Кремля в Советском Союзе 60-70-х годов проводилась очередная политически целенаправленная кампания-фарс: народы Советского союза торжественно отмечали юбилейные даты «добровольного присоединение» своих территорий к России (шумно отмечались такие даты в Украине, Якутии, Армении...).

И в Грузии началась подготовка к проведению аналогичного мероприятия. Тогдашний первый секретарь ЦК КП Грузии Э. Шеварднадзе в специальном докладе в 1976 году отметил, что в 1983 году Грузия должна отпраздновать 200-летние *присоединение* к России, которое охватывало период 1783-1983 годов. Ибо в Грузии всем было известно, что Россия в 1801 году присоединила Картли-Кахетинское царство и соответственно «юбилейная» дата приходилась на 2001 год. Понятную реакцию и всеобщее удивление вызвала допущенная Э. Шеварднадзе, на первый взгляд, подобная неточность. Многие сочли этот факт проявлением очередного угодничества Э. Шеварднадзе кремлю, но вместе с тем очень трудно было поверит, что государственный деятель такого уровня (причем, историк по специальности), каким был Э. Шеварднадзе, мог допустить столь грубую ошибку, «подал» Кремлю на том уровне, чтобы публично совершить подлог столь болезненных для грузин «стопроцентных» исторических дат.

Однако, если внимательно проанализировать происшедшее, под иным углом взглянуть на происходившие процессы, нельзя не увидеть в этих «торжествах» важный момент. При оценке этого события обращает на себя внимание и одно обстоятельство, анализируя грузинскую центральную прессу 1976-1983 годов, можно отметить значительную закономерность: используемый в 1976 году в прессе термин «присоединение к России» претерпевает трансформацию. Он постепенно видоизменяется и окончательно, к 1983 году, приобретает то содержание, что республика должна была отпраздновать не дату присоединения Грузии к России, а юбилей в честь 200-летия подписания Россией с Грузией договора – так называемого Георгиевского трактата, т.е. фактически вопреки директиве Кремля Грузия отмечала не юбилейную дату «добровольного» присоединения Грузии к России, и аннексии Грузии Россией и утрату грузинским народом государственности, а отмечала юбилейную дату подписания двумя независимыми государствами – Грузией и Россией – договора.

У дипломатии свой сложный, специфический язык. На этом языке, в соответствии с существующей в тогдашней политической ситуации

возможностью, Э. Шеварднадзе ответил на директиву Кремля весьма глубоко осмысленным зашифрованным политическим ходом: что оказавшаяся из-за перипетий судьбы в другом государстве, входящая в состав российской советской империи Грузия, несмотря на нынешнюю безвыходную ситуацию, все-таки напомнила России Георгиевский трактат. В тоже время тем самым еще раз напомнила и политикам цивилизованному миру о существовании подписанного независимыми государствами договора и непередаваемым забвению стремлении грузинского народа к восстановлению независимости.

**Ключевые слова:** Эдуард Шеварднадзе, Грузия, Россия, «Георгиевского трактат»

**Рецензент:** Профессор Шота Догондзе. Грузинский технический университет.



## შიიზიზი ალავმერლოვი, ბიორბი თორღაკი ისლამი და კოლიტიზი

მეშიდე საუკუნის პირველ ნახევარში არაბეთის ნახევარკუნძული წარმოადგენდა თითქმის ყველა აღმოსავლური სარწმუნოების თავშესაფარს: აქ ბატონობდა წარმართობა რომელიც წარმოდგენილი იყო როგორც ადგილობრივი ისე ირანიდან და რომის იმპერიიდან შემოტანილი კულტებით. არაბეთში თავი მოეყარა ყველა რჯულის ადამიანს. იმ ხანად არაბეთის ნახევარკუნძულზე დაწინაურდა ყურეიშელთა ტომი რომელიც უპირველესად პატრის მიაგებდა ალღაჰს. ესაა სინკრენტული რელიგია, სხვადასხვა კონფესიის შერწყმის შედეგად აღმოცენებული მოძღვრება და კულტი. პირველ რიგში აქ იგულისხმება იუდაიზმის და ქრისტიანობის გავლენა, რადგან ბიბლიის კვალი შესამჩნევია მაჰმადიანთა აზროვნებისა და ყოფაცხოვრების ყოველ ნაბიჯზე.

მუჰამედი 570 წლის 20 აპრილს დაიბადა. იგი ყურეიშელთა ტომიდან, ჰაშიმის გვარიდან იყო.დაიბადა და აღიზარდა ქალაქ მექაში, რომელიც არაბეთის საკულტო ცენტრად ითვლებოდა წმინდა ტაძრის, ქააბას გამო.

ქააბა ისლამის მთავარი სალოცავი ტაძარი, რომელიც დღას მექის მასჯიდ ალ-ჰამარის ეხოს ცენტრში. ლეგენდის თანახმად გაძევებულ ადამს, რომელიც საბოლოოდ ჰიჯაზში მოხვდა, ალღაჰმა გადმოუვლინა შავი ქვა. ადამმა მასზედ ააგო შენობა ან დადგა კარავი. ქააბა კი ააშენა მისმა ვაჟმა შისმა. წარღვნის დროს ქააბა ზეცაში იქნა ატანილი, შემდეგ დაინგრა და როცა პირველმა ჰანიფმა და მუსლიმმა იბრაჰიმმა მექაში დაასახლა ისმაილი, ალღაჰმა უბრძანა იბრაჰიმს მისი აღდგენა. იბრაჰიმმა შეასრულა ალღაჰის ბრძანება და უანდერდა ყველას, რომ შეესრულებინათ პილიგრიმობა ქააბასთან. მისი მოვლაპატრონობა რიგ-რიგობით ევალეობოდათ ჯურჰუმის, ჰუზას და კურაიშის არაბულ ტომებს. მუჰამედის დაბადება დაემთხვა იმ დღეს როდესაც იემენის ეთიოპიელმა გამგებელმა აბრაჰიმმა მექაზე წარუმატებლად ილაშქრა. ამ ლაშქრობაში საბრძოლო სპილოც მონაწილეობდა, რომელმაც დამხვდურებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რო იმ წელიწადს “სპილოს წელიწადი” უწოდეს. მუსლიმები ამბობენ,მუჰამედი სპილოს წელიწადს იშვა და არაბებს გამარჯვება მოუტანაო. მუჰამედი ადრე დაობლდა. მისი აღზრდა ბიძამ, აბუ ტალიფმა იკისრა. მუჰამედმა ბავშვობა მოჯაჰიდებში გაატარა. იყო მწვემსი, შემდეგ ქარავანის გამყოლი. არსებობს გადმოცემა რომ იგი იმდენად კეთილშობილი ბავშვი ყოფილა,რომ მას “ალ-ამანი”, ანუ “სანდო” შეარქვეს. მუჰამედი ქააბას მომლოცველი იყო. ყურანის თანახმად, 610 თუ 612

წელს, როდესაც მოჰამედი 40 წლის იყო, მას ანგელოზი გამოეცხადა და ალაჰის სიტყვა აუწყო. ურანის 53-ე სურათში რომლის სახელია “ვარსკვლავი”, აღიწერილია: მან იხილა ქმნილება, რომელიც მის პირდაპირ, ცის კიდეზე დადგა. შემდეგ მოუახლოვდა და დაეშვა. როდესაც უფრო ახლოს მოვიდა, ორი მშვილდდის მანძილზე, “ხეშთააგონა თავის მონას”.

მუსლმური ტრადიციით, ეს ”ქმნილება” მთავარანგელოზი ჯიბრაილი (გაბრიელი). ჯიბრაილს ხელში გრაგნილი ეჭირა და ტექსტს კითხულობდა, მუჰამედი კი იმეორებდა და იმახსოვრებდა. პირველ გამოცხადებას მეორე მოჰყვა და ა.შ. თითოეული სიტყვა, ე.ი. გამოცხადება, მთავრდებოდა მოწოდებით ”მოჰყევ” ანუ: სხვასაც უამბე, რაც მოისმინე! უჰამადი მოხმობას დაჰყვა და ამიერიდან იგი წინასწარმეტყველი და ერთი ღმერთის ალაჰის მოციქული გახდა. მუჰამედის გამოცხადებული მოძღვრება თავდაპირველად მისმა ახლობლებმა, მეგობრებმა და ნათესავებმა ირწმუნეს, პირველყოფლისა ხადიჯამ და ბიძაშვილმა ვარაკა იბნ ნავალიმ, რომელიც იბნ ისაჰკ აღმუტალიფის ცნობებით, ქრისტეს რჯულს იცნობდა და სულაც ქრისტიანი იყო. სწორედ მან დაარწმუნა მუჰამედი, რომ მას ის შეემთხვა, რაც მოსემ სინას მთაზე იხილა და განიცადა. მუჰამედი გავიდა ხალხში და ალაჰის სიტყვა ყურანი გამოაცხადა. მისი პირველი ერთგული მიმდევრები ბიძაშვილი ალი აბი ტაბილი, მდიდარი აბუბაქარი და სხვები იყვნენ. პირველად მათ ეწოდათ მუსლიმები, რადგან ალაჰს მისცეს თავი. ასე შეიქმნა მუსლიმთა პირველი თემი. მუჰამედი ქადაგება იყო მარტივი. ის მექელებს ასაკის, სქესის, სოციალური ფენისა და ეთნიკური წარმომავლობის განუსხვავებლად მოუწოდებდა, რათა მრავალღმერთიანობის რწმენაზე უარი ეთქვათ და თავყვანი ეცათ ერთი და ერთადერთი ღმერთისათვის, რომელმაც სამყარო და ადამიანი შექმნა. მუსლიმთა ჯგუფმა, როდესაც მისი წევრების რიცხვმა სამ ათეულს გადააჭარბა, საზოგადო ლოცვა დაიწყო, რამაც საყოველთაო რეზონანსი გამოიწვია. ახალი რჯულის მოძღვარმა მალე შეიტყო მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ტოვებდა მექა მოწაფეებთან ერთად. იასრიბში გადაიხვეწა რომელსაც „წინასწარმეტყველის ქალაქი“ მედინა ეწოდა. გადმოცემის მიხედვით, მედინაში გადასახლება ანუ ჰიჯრა მოხდა 622 წელს. ეს წელი მათი ერის (წელთაღრიცხვა) დასაწყისად იქნა აღიარებული. ხოლო 630 წელს მუჰამედი დაბრუნდა მექაში და დაამყარა ხელისუფლება. 632 წელს კი გარდაიცვალა, ისლამის გავრცელების მისია დაევალით ხალიფებს, რაც ძალიან წარმატებით მოახერხეს, რადგან ისლამი მალე გაბატონდა არაბეთის ნახევარკუნძულზე და მის ფარგლებს გარეთ.

ისლამი არაბული სიტყვაა და მორჩილებას ნიშნავს, მონისტური რელიგიაა; აღიარებს ერთსახოვან ღმერთს. იგი მკეთრად დაუპირისპირდა პოლითეიზმს. მან ქრისტიანული ტრიადა სამ ღმერთად მოიაზრა და უარყო იგი. ყურადღება შეაჩერა ებრაულ თეოლოგიაზე. რაც გახდა წყარო მისი მრწამსის ძირითადი ფორმულისა, შაჰადისა: არაარს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედია ალაჰის მოციქული. აღსანიშნავია რომ მუჰამედის მიერ შექმნილი მცირე სექტა, არსებული ვითარების გამო, პრაქტიკულად იძულებული გახდა, პოლიტიკურ ურგანიზმად ჩამოყალიბებულიყო და სწორედ რელიგიის პოლიტიკასთან შეკავშირებამ, თეორიულად სახელმწიფო ხელისუფლების დაფუძნებამ, საერო და სასულიერო სფეროების განუყოფელობის იდეაზე, განაპირობა ისლამური სამყაროს სპეციფიკურობა. ამდენად ისლამი წარმოადგენდა არამხოლოდ ერთ-მორწმუნეთა კავშირს, არამედ ტოტალურ საზოგადოებას. ისლამში მორწმუნეთა თემი იმავდროულად იყო პოლიტიკური სტრუქტურა, სახელმწიფო. მუსლიმად გახდომით, მორწმუნე ამასთანავე ხდებოდა არამხოლოდ რელიგიის აღიარებული, არამედ პოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციის წევრიც. ერთიანი რელიგიის არმქონე არაბებს არ შეეძლოთ შეექმნათ შეექმნათ სიცოხლისუნარიანი პოლიტიკური გაერთიანების საფუძვლები. ახალმა რელიგიურმა მრწამსმა კი, რომელიც პრაქტიკულად ერთი ადამიანის, მუჰამედის შემოქმედებას წარმოადგენდა და რომელიც ახალი ცივილიზაციის წყარო გახდა. სწორედ ამ პოლიტიკურ ერთიანობას მუსლიმურ თემს, მომავალი სახელმწიფოს ჩანასახს ჩაუყარა საფუძველი.

მუჰამედი პირველ რიგში, ახალი რელიგიის შემქმნელი და რელიგიური მოღვაწე იყო. მაგრამ შექმნილ სიტუაციაში საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, მუჰამედს ბუნებრივად უხდებოდა პოლიტიკური მომენტების გათვალისწინება. ვინაიდან ახლანდელ მუსლიმურ თემს, სახელმწიფოს ჩანასახს აუცილებლად ესაჭიროებოდა პოლიტიკური მოწყობის საფუძვლების შექმნა.

ახალგაზრდა მუსლიმური თემის უხენავსი წინამძღოლი ერთდროულად იყო იდეოლოგიური მოძღვარი, რომელიც განსაზღვრავდა მორწმუნეთა რელიგიურ მოვალეობებს, აყალიბებდა წესებს და დოგმებს ღვთაებრივი ზემოთაგონების საფუძველზე და ასევე პოლიტიკური ხელმძღვანელი, რომელიც იღებდა საშინაო და საგარეო პრობლემებთან დაკავშირებულ აუცილებელ გადაწყვეტილებებს. ისლამი გახდა ერთდროულად, დოგმა და პრაქტიკა, კრედო და ქმედება. მუჰამედი საკუთარ თავში აერთიანებდა საკაონონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. აღსანიშნავია რომ

თეორიულად არ არსებობს დაპირისპირება საღვრთო კანონსა და სახელმწიფო კანონს შორის, ვინაიდან ისლამი იცნობს მხოლოდ ერთ კანონს. ღმერთის მიერ გამოცხადებულ შარი-ათს. რომელიც მოიცავს, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. რელიგია განსაზღვრავს თითოეული ამ სფეროს ნებისმიერ ასპექტს.

პირვანდელ ისლამში რიტუალსა და მორალურ მოთხოვნებს გაცილებით უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე დოგმატიკას. მუჰამედი უპირველესად იყო მებრძოლი მქადაგებელი და არც ფიქრობდა შეექმნა სისტემატიზირებული და დასრულებული თეოლოგიური მოძღვრება. ეს მისია მუსლიმმა თეოლოგებმა შემდეგ საუკუნეში შეასრულეს. საერთო ჯამში ისლამი არის რელიგია, რომელიც პირველ რიგში ყურადღებას აქცევს ორთოპრაქტიკას მხოლოდ შემდეგ ორთოდოქსიას. ქცევა განსაძღვრულია რელიგიური კანონით რომლის საფუძვლებიც შექმნა მუჰამედმა და რომელიც განავითარეს მუსლიმმა ღვთისმეტყველ სამართლისმცნოდნეებმა ისლამის არსებობის პირველი სამი საუკუნის მანძილზე. ისლამი არაა უბრალოდ რელიგია არამედ საზოგადოების მოწყობის ფორმა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველია.

ყურანის პოლიტიკურ იდეებში არა არის მკაფიო მითითება პოლიტიკური ხელისუფლების შესახებ, ძალაუფლების მატარებლის ვინაობის თაობაზე ისლამურ თემში. ძალაუფლების საკითხი კი იყო და დარჩება ისლამის თეორიის და პრაქტიკის ცენტრალურ პრობლემად. სწორედ ამ საკითხმა გამოიწვია თემისა და შემდგომ მუსლიმური სამყაროს გაყოფა. ყურანის პოლიტიკური იდეების საბაზისო სტრუქტურა, აქტივისტური და მილიტარისტური სულისკვეთების მიუხედავად გარკვეულწილად ნეიტრალურია და სულაც არ იძლევა მკაფიო სამოქმედო მითითებებს ისლამური თემის პოლიტიკური მოწყობის თაობაზე მოციქულის შემდეგ თემცა ყურანში არსებული პოლიტიკური იდეები, იდეოლოგიურად მრავალგვარი ინტერპრეტაციების შესაძლებლობის გამო ყოველთვის წარმოადგენდნენ საფრთხეს მუსლიმი მმართველებისათვის. მათი გამოყენება თანაბარწილად შეიძლებოდა როგორც ურწმუნოების, ისე ხელისუფლების წინააღმდეგ. ამასთანავე ყურანშიც კი ჩანს ძალაუფლების დაყოფის და დანაწევრების წინაპირობები ეს კი არაბთა თავბრუდამხვევი სისწრაფის დაპყრობების შედეგად, მცირე მუსლიმური თემი უზარმაზარ იმპერიად გარდაქმნის პირობებში, მეტად თვალსაჩინო გახდა. საერთო ჯამში კი ყურანი მეტად მწირი წყაროა ისლამში პოლიტიკური ხელისუფლებისათვის. მუჰამედის ძალაუფლების წყარო ღვთის ნება იყო ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მკაფიო მითითება პოლიტიკური ძალაუფლების რაობის შესახებ აღარ არსებულა.

საბოლოო ჯამში, ისლამის თავდაპირველი ისტორიული პოლიტიკური განვითარება და დამოკიდებულება პოლიტიკური ხელისუფლებისადმი შემდეგი სახით შეიძლება განისაზღვროს: 1. ყურანი არ იძლევა მკაფიო მითითებას ისლამური სახელმწიფოს ფორმისა და მემკვიდრეობის საკითხზე. 2. მოციქულს არ ამოურჩევია მემკვიდრე, და არც სახელმწიფოებრივი მოწყობის რაიმე კონკრეტული ფორმისათვის მიუნიჭებია უპირატესობა. მისი მთავარი მემკვიდრეობა იყო მუსლიმის მიერ ისლამის მოძღვრების დაცვის მოვალეობა. 3. გამოიკვეთა მემკვიდრეობის სამი სახეობა: ა) შეზღუდული არჩევანი „აბუბაქრი“; ბ) ხალიფას მიერ მემკვიდრის დასახელება „უმარი“; გ) შურა იგივე საბჭოს მიერ ხალიფას არჩევა (უხმანი და ალი) 4. მემკვიდრეობის საკითხი გადაიზარდა უმძაფრეს პოლიტიკურ კონფლიქტში, რასაც მოჰყვა რელიგიური განყოფილება ისლამში (სუნიზმი და შიიზმი). 5. ისლამური სახალიფოს ისტორიიდან, მისი დაარსებიდან ოფიციალურ გაუქმებამდე (1924 წ.) მკაფიოდ ჩანს, რომ არცერთი ხალიფა არ ყოფილა არჩეული მთელი მუსლიმური თემის მიერ. ხალიფა, ძირითადი მემკვიდრეობის პრინციპის საფუძველზე. ისლამური სამყაროს ისტორიისათვის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა „უმმას პირველ საწყისმა“ იდეალმა სოციოპოლიტიკური და რელიგიური სფეროების სრულმა ერთიანობამ თუმცა იგი პირველი ხალიფების და ადრეული აბასიანების სუვერენების მცდელობის მიუხედავად, სამუდამოდ განუხორციელებელი.

## ლიტერატურა

### References:

1. <http://religio.rags.ru/religios/3.php>
2. [http://www.caucasustimes.com/ISLAM-ISTORIA\\_SOVREMENOST.pdf](http://www.caucasustimes.com/ISLAM-ISTORIA_SOVREMENOST.pdf)
3. <http://io.ua/14008239p>
4. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/15714/>
5. <http://www.i-r-p.ru/page/stream-exchange/index-12914.html>
6. <http://geotimes.ge/index.php?m=home&newsid=21186>
7. <http://rt.com/politics/obama-a-prolongation-of-bush-islamic-leader-in-russia/>
8. <http://www.eng.kavkaz-uzel.ru/articles/20595/?print=true>
9. Большая исламская научная энциклопедия, Омер насухи билмен, Азербайджан 2001
10. [http://www.griffith.edu.au/\\_data/assets/pdf\\_file/0004/58315/Rane.pdf](http://www.griffith.edu.au/_data/assets/pdf_file/0004/58315/Rane.pdf)
11. <http://www.interculturelecommunicatie.com/download/image.pdf>
12. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/15714/>

13. Коран, перевод с арабского И.Ю.Крачковского, Северо-Запад пресс, Москва-Санкт-Петербург, 2005
14. Массэ А. Ислам. М., 1982
15. Lawrence B.B. Rethinking Islam as an ideology of violence // Conflict resolution in the Arab world. Selected essays / Ed. by P. Salem. – Beirut, 1997. –
16. giorgi sanikiZe: Siizmi da saxelmwiqo iranSi
17. nugzar papuaSvili:msoflio religiebi saqarTveloSi

**Emilia Alaverdov, Giorgi Todadze**  
**Islam and Politics**

**S u m m a r y**

The theme “Islam and Politics” is very actual and vital. Islam is not only a religion, it is a quite strong ideology. And like every ideology Islam also has its certain features, which are usually expressed in: society, nationality, nation and defines their activities and of course the rule of their lives, relations between the society and political force with different ideology. The volume of the issue is that, first of all we deal with the two difficult aspects such as Politics and Religion and their directions, and then with their influence on each other and cooperation. The second is coming Islam itself as a religious system with its doctrinal theology, worship system, legal structure, characteristics and etc. Islam with its doctrinal theology is closely connected with ideological world-view and is its component part. The actuality and its main point of the theme “Islam and Politics” is that, it deals with the various aspects such as ethical, national, economical, institutional, physiological and as well as with every day life.

Islam was and still remains the actual and vital religion. It had and always has an influence upon the internal and foreign affairs of other countries as it was exactly the religion with which Arabs appeared on the World Scene.

**Keywords:** Islam, Politics

**Reviewer:** Professor Ragim Andriashvili, Georgian Technical University

**Эмилия Алавердова, Гиоргий Тоцадзе**  
**Ислам и политика**

**Резюме**

Тема "Ислам и политика» является очень актуальной и жизненно важной. Ислам это не только религия, это довольно сильная идеология. И, как всякая идеология, ислам также имеет свои определенные особенности, которые, как правило, выражаются в обществе, национальности, нации и определяют их деятельность и в чём выражается правила их жизни, отношения между обществом и политической силы, с другой идеологией. Главный смысл заключается в том, что, прежде всего, мы имеем дело с двумя такими трудными аспектами, как политика и религия, и их направления, а затем с их влиянием друг на друга и сотрудничестве. Не менее важным феноменом является сам ислам как религиозная система с его доктринальным богословием, богослужением системой, правовой структурой, характеристикой и т.д. Ислам с его доктринальных теологией тесно связан с идеологическим мировоззрением и является его составной частью. Актуальность темы "Ислам и политика" заключается в том что, мы имеет дело с различными его аспектами, на пример, такими как, этнические, национальные, экономические, институциональные, физиологические и бытовые.

Ислам был и остается актуальной и жизненно важной религией. Он имел и имеет влияние на внутренние и внешние дела других стран, так как ислам это именно та религия, с которой арабы появились на мировой арене.

**Ключевые слова:** Ислам, политика

**Рецензент:** Профессор Рагим Андриашвили. Грузинский технический университет.

## მარიკა ლაზვიაშვილი დიდი აბრეშუმის გზის აღორძინების იდეა

მსოფლიო აბრეშუმის გზის აღორძინება, TRACECA - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნა ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული მოვლენაა XX და XXI საუკუნეების (მეორე და მესამე ათასწლეულების) გზაგასაყარზე, ამიტომაცაა რომ ამ გზას მფარველობენ მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები, საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციები, რადგან ეს გზა ოდესღაც საქართველოზე გადიოდა, სავსებით ლოგიკური და კანონზომიერია, რომ ისტორიული მსოფლიო პროექტის-აბრეშუმის დიდი გზის რეკონსტრუქციისა და აღორძინების ერთ-ერთი ავტორი საქართველოც არის.

ეს პროექტი დღეს წარმატებით ხორციელდება ევროპის, ამერიკის, აზიის წამყვანი ქვეყნების, მსოფლიო თანამეგობრობის აქტიური მხარდაჭერით და დახმარებით. TRACECA -ს საერთაშორისო პროექტის მთავარი მამოძრავებელი ძალა ევროკავშირშია.

ამ გზის აღორძინების საკითხი წამოჭრა "ევროპის იდეის", "აზიის იდეის" დამუშავების პროცესში ევროპა-აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების ერთიან გეოგრაფიულ პროცესში გამაერთიანებელი პოლიტიკური იდეებისათვის ღია სივრცის შექმნის მიზნით.

ეს საკითხი ითვალისწინებს არა მარტო კავკასია-ევრაზიის სივრცეში საერთო ბაზრის შექმნას, არამედ გეოგრაფიულ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ სამართლებრივ სივრცეთა საერთო სახლის იდეას. ეს იდეა ახალია და ამჟამად დროს ისევე ძველია, როგორც თავად კაცობრიობა.

კონტინენტების და ხალხების თავისუფალი ინტეგრაციის მიზნებს ემსახურება თნამედროვე საპაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო ტრანსპორტი და კოსმოსური კომუნიკაციები. სწორედ ამ იდეის რეალიზაციას ემსახურება TRACECA. რას ნიშნავს TRACECAA? ეს ნიშნავს ევროპა-კავკასია აზიის სატრანსპორტო დერეფანს.

1993 წლის მაისში ბრიუსელში ჩატარდა ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების, ცენტრალური აზიის( ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი) და სამხრ. კავკასიის ქვეყნების შეხვედრა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ტრასეკას პროგრამას. მიღებული იქნა ბრიუსელის ცნობილი დეკლარაცია, რომელშიც გამოხატულია ევრაზიის 8 სახელმწიფოსა და ევროკავშირის ნება. პროგრამა ითვალისწინებდა ევროპიდან აზიისაკენ შავი ზღვის გავლით,



ცენტრალური აზიისა და შორეული აღმოსავლეთისაკენ სატრანსპორტო დერეფნის შექმნას.

აქვე გადაწყდა, რომ ევროკავშირი დააფინანსებდა ამ პროგრამას. მთავარი ინვესტორები იყვნენ რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და მსოფლიო ბანკი.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული მიზანია ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის TRASECA-ს დაკავშირება ტრანსევროპულ და მაშასადამე, მსოფლიო სატრანსპორტო კომუნიკაციებთან.

ამდენად, ტრასეკა წარმოადგენს უკვე არსებული სატრანსპორტო მიმართულების დამატებით მარშრუტს და არავის უქმნის სირთულეებს, ყველა ქვეყნისათვის მხოლოდ სარგებლობა მოაქვს.

მრავალი სამუშაო შეხვედრა მიეძღვნა ტრასეკას და მის პრობლემებს-1995 წელს ალმა-ატაში, იმავე წელს ავსტრიაში (ვენა), 1996 წელს-იტალიაში (ვენეცია), და საბერძნეთში (ათენი), 1997 წელს თბილისში, სადაც მიღებული იქნა თბილისის კონვენცია და შეიქმნა ტრასეკას საერთაშორისო კომიტეტი.

1997 წლის ივნისში ფინეთში, ჰელსინკიში ჩატარდა ტრასეკას პანევროპული კონფერენცია, რომელსაც საფუძვლად დაედო თბილისის კონფერენციის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

1998 წლის 15-17 აპრილს ქ. აშხაბადში საერთაშორისო საგზაო ფედერაციის ეგიდით ჩატარდა აბრეშუმის გზის აღდგენისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები: გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ტასისი, ტრასეკა, მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე აბრეშუმის გზასთან დაკავშირებული ქვეყნების (ზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, ირანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის ტაჯიკეთის, თურქმენეთის, კანადის, აშშ-ის) ტრანსპორტისა და გზების სამინისტროების წარმომადგენლები, თურქმენეთში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, კერძო სტრუქტურების ხელმძღვანელები და სხვა.

დადებითი შეფასება მიეცა პირველი კონფერენციის მუშაობას და აღინიშნა ის დიდი ინტერესი აბრეშუმის გზის მიმართ, რომელიც გამოიხიზა ევროპისა და აზიის მრავალმა ქვეყანამ, ასევე ამერიკისა და კანადის წარმომადგენლებმა.

1998 წლის სექტემბერში ბაქოში გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 32-მა ქვეყანამ და 13-მა საერთაშორისო

ორგანიზაციამ. გაიმართა სამიტი ტრასეკას ქვეყნების პრეზიდენტებისა და სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე. ტრასეკას ხელშეკრულების ქვეყნები დღეს უკვე მოიცავენ მსოფლიო სივრცეს ამერიკიდან იაპონიამდე.

საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთ მიზნად დაისახა ტრასეკას დერეფნის სტატუსის გათანაბრება სხვა პრიორიტეტულ დერეფნებთან. ფაქტობრივად, ეს არის საქართველოს ტრანსპორტის ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, მისი აღიარება ევროპულ სატრანსპორტო სისტემის განუყოფელ ნაწილად.

საერთაშორისო კონფერენციებზე სოფიაში, თბილისში, კიევსა და სხვაგან ტრასეკას დერეფანი აღიარეს ევროპული სატრანსპორტო სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. ის ისეთი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაა, რომელიც მოიცავს საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო გზებს, რკინიგზას, საზღვაო ნავსადგურებს, კომბინირებულ და ინტერმოდალურ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, სამგზავრო და სატვირთო ტერმინალებს და სხვა.

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის აღორძინების მიზნით დაიდო არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, რომლებმაც დიდი ბიძგი მისცეს პროექტის განვითარებას. ტრასეკა აღიარეს ევროპული სატრანსპორტო დერეფნების, შავიზღვის სატრანსპორტო არეალის, აზიის სახელმწიფოების სატრანსპორტო სისტემების დამაკავშირებელ სატრანსპორტო კომუნიკაციად.

ევრაზიის სატრანსპორტო და სავაჭრო დერეფანი არ არის შემოფარგლული მხოლოდ სატრანსპორტო და სავაჭრო ფუნქციით, ის რეალურად, ევრაზიის პოსტსაბჭოურ სივრცეში აღორძინებით, სახელმწიფოთა მასტაბილიზებელი ფაქტორის როლს ასრულებს, ხელს უწყობს აქ ახალი გეოსტრატეგიული ბალანსის, ტრასეკა ქვეყნების საერთო ბაზრის ჩამოყალიბებას, პროექტში ჩაბმულ სახელმწიფოთა ევროპული, დასავლური ორიენტაციის გაძლიერებას და მსოფლიო ეკონომიკაში მათ ნაყოფიერ ინტეგრირებას.

1997-98 წლებში აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა სუფსის ნავთობის ტერმინალი და ნავთობსაქაჩი ე.წ. ტივტივა. ამ ნავთობ-ტივტივას საშუალებით, განვლილ პერიოდში, დაიტვირთა და დასავლეთისაკენ აიღო გეზი მმრავალმა ტანკერმა. ნავთობტერმინალის გამტარუნარიანობა დრეში 105.000 ბარელს შეადგენს, რაც წელიწადში 5,5 მლნ. თონის ექვივალენტია.

ნავთობის ტერმინალის ერთდროული სამარაგო სიმძლავრე 200.000 ტ. ტონია. არსებული სიმძლავრეების წლიური გამტარიანობის გაზრდა 250.000 ბარელამდე ანუ 13 მლნ. ტონამდეა

გათვალისწინებული მომავალში სუფსის ტერიტორიაზე გათვალისწინებული აგრეთვე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის (სიმძლავრით 2 მლნ. ტონა წელიწადში) მშენებლობა.

მართალია, კასპიისპირეთი არ არის ახლო აღმოსავლეთი, მაგრამ ნავთობის მარაგის მხრივ, იგი ანგარიშგასაწვევი რეგიონია და აქ არსებული ნავთობის მარაგები, მსოფლიო ნავთობის მარაგების 4%-შეადგენს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სიგრძე საქართველოს ტერიტორიის გავლით შავი ზღვის ნავსადგურამდე 500 კმ-ით ნაკლებია, ვიდრე რუსეთის პორტ ნოვოროსისკამდე, მილსადენი 700კმ-ით მოკლეა რუსეთის ტერიტორიაზე გამავალ ვარიანტებთან შედარებით. საქსპორტო მილსადენის სიგრძე 1600კმ-ია. ნავთობსადენის საწყისი წერტილია-სანგაჩალის ტერმინალი ( აზერბაიჯანი), საბოლოო წერტილი კი –ჯეიჰანის ტერმინალი (თურქეთი). გასატარებელი ნავთობის მოცულობა 2004 წელს განსაზღვრული იყო 11,5 მილიონი ტონა, ხოლო 2043 წლისათვის 50 მილიონი ტონა-უნდა გახდეს. საქართველოს სატარიფო შემოსავალი ბარელზე 2004 წელს დაეგმილი იყო 12 ცენტ, ხოლო 2043 წლისთვის 25 ცენტს უნდა მიაღწიოს.

ეკონომიკური თვალსაზრისით იმ პროექტის მოქმედების პერიოდში (40 წელი) საქართველოს ბიუჯეტმა გარანტირებულად უნდა მიიღოს 2 მილიარდ 100 მილიონი აშშ დოლარი, რაც საშუალოდ წელიწადში 52,5 მლნ. დოლარს შეადგენს.

ამრიგად, ევროპა-კავკასია-აზიის მომგებიანი დერეფანი, რომელიც შედგება ტრანსკასპიური ნავთობის და გაზის მილსადენებისგან არის დიდი სტიმული და მხარდაჭერა საქართველოს საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური კურსისადმი. იმედია, რომ ნავთობსადენის და გაზის მილების გაყვანა საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყანას სიკეთეს და ბედნიერებას მოუტანს, ამასთან ხელს შეუწყობს საბიუჯეტო შემოსავლების გადიდებას და ხალხის და კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაზე გამავალი ევროპა-აზიის დამაკავშირებელი საგზაო-სატრანსპორტო სისტემების ფორმირება-განვითარების გეგმების რეალობა და მასშტაბი ბევრადაა დამოკიდებული შავი ზღვის უკიდურესი აღმოსავლეთის ე.ი. საქართველოს სანაპიროზე არსებული თუ მომავალში ასაშენებელი ნავსადგურების მაქსიმალურად დასაშვები ტვირთგამტარიანობის თვისებრივ ოდენობასა და მათი ტექნიკური ექსპლუატაციის ეკონომიკურ-ეკოლოგიურ მაჩვენებელზე.

საქართველო დიდ იმედს ამყარებს ტრასეკაზე, ევროპა-კავკასია-აზიის ის სატრანსპორტო დერეფანზე, ახალი აბრეშუმის გზის აღორძინებაზე, კავკასია-ევრაზიის საერთო ბაზრის შექმნაზე.

ტრასეკა და კავკასია-ევრაზიის საერთო ბაზარი არის არა მხოლოდ გზა ახალი ეკონომიკისკენ, არამედ ეს არის გზა საერთაშორისო უშიშროებისა და სტაბილიზაციის ახალი ეტაპისკენ.

როგორც, ცნობილია, დღეს საქართველოში საავტომობილო გზების მშენებლობა ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად არის აღიარებული და არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო “ისტორიული აბრეშუმის დიდი გზის” ერთ-ერთი მონაკვეთის მცხეთა-გორი-ხაშური მრავალგანზომილებიანი ჩქაროსნული, ცემენტბეტონის საფარიანი გზატკეცილის სწრაფი ტემპით მშენებლობა.

ევროპა-კავკასია-აზიის საერთო ბაზრის გზა არის გზა ოცდამეერთე საუკუნისაკენ, მესამე ათასწლეულისკენ რომელიც აერთიანებს მსოფლიო ხალხებს, სხვადასხვა რელიგიის, ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენლებს. ეს არის მომავლის გზა, რომელიც ასევე აერთიანებს წარსულს, აწმყოსა და მომავლის გზას, რომელზეც უნდა ვიაროთ ჩვენი შთამომავლობის კეთილდღეობისათვის, ჩვენი სამშობლოს-საქართველოს სტაბილური მომავლისთვის.

დიდი აბრეშუმის გზისადმი ინტერესი მანამდე თუ მეცნიერული იყო, კასპიის ნავთობისადმი დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური წრეების მხრიდან ყურადღების გააქტიურებამ და საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ინიციატივის მხარდაჭერამ, აბრეშუმის ძველ გზას ახალი სიცოცხლე შესძინა. შეიქმნა ევრაზიული დერეფანი (ტრასეკა), ანუ ახალი აბრეშუმის გზა, მხოლოდ ამჯერად, ჩინური და შუა აზიური აბრეშუმის მაგივრად, ენერგომატარებლების გატარება წარმოებს რუსეთისა და ირანის გვერდის ავლით ამ კორიდორის შექმნას მხარი დაუჭირეს აშშ-მ და ევროკავშირმა.

კასპიის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირება სუფსის ტერმინალზე ხორციელდება რკინიგზით. ყოველდღიურად მილიონობით ტონა ტრანზიტული ტვირთი (ნავთი, ნავთობის პროდუქტები, ბუნებრივი გაზი) გადის საქართველოს ტერიტორიაზე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით და აზერბაიჯანისა და საქართველო-თურქეთის გაზსადენით.

ტრასეკას გზა ცენტრალური აზიიდან ევროპამდე საქართველოზე გავლით, გაცილებით მოკლეა, ვიდრე მისი ალტერნატიული გზები. აღნიშნულ ტრასას ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა

აქვს. იგი უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობას ნავთობითა და გაზით და ამვე დროს ხელს უწყობს ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას.

ამავე დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის ეკონომიკური განვითარებისა და ამ რეგიონების პოლიტიკური სტაბილიზაციის თვალსაზრისით.

თუ მეფე ფარნავაზის დროინდელი ქართლის სამეფოს გაძლიერება შორეულ ისტორიულ წარსულში მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული საქართველოზე გამავალი დიდი სავაჭრო გზის განვითარებასთან, დღეს აბრეშუმის გზის ახალი სიცოცხლე არა მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების მნიშვნელოვანი საშუალებაა, არამედ მთელი რეგიონისაც.

### ლიტერატურა

#### References:

1. saqartvelos istoriis narkvevebi t. II, Tb.1973, gv, 111-138
2. Shevardnadze E., didi abreSumis gza, Tb. Mecniereba, 1999w
3. Папова В., Сравнительные преимущества стран Центрального Кавказа: потенциальные, реализованные и упущенные возможности, журнал Кавказ глобализация, том 1(1), Швеция, 2006, ст. 99-108.
4. Grigolia T., sadoqtoro disertacia-saqartvelo saertashoriso ekonomikur da politikur urtiertobata sistemashi, avtoreferati, Tb. 2003w, gv, 24-27

### Marika Lazviashvili

#### The idea of Great Silk Road's regenerate

#### Summary

Nowadays, problem of gas and oil is such as important in modern world economics and politics, that it determines the character of dependence of many countries with South Caucasus.

Azerbaijan 's gas and oil's resources and it's routes of transporting passing by Georgia have the greatest geostrategic importance, which has determined it's positive and negative effects, such as for Azerbaijan, as much whole region.

Positive effect is connected mainly with the west states, which are seeking to possess alternative layers, so they firstly were educing personal interest to possess Azerbaijan's energetic resources and to create alternative tube conductors for their transportation. This has ensured bringing very important investitions, such as in Azerbaijan, as in other countries of Caucasus (Georgia, Turkey), and there are passing oil conductor pipelines.

So, what about negative side, this is caused from extractive regional competitors of gas and oil-Russia and Iran, who were trying with all their possibilities to make Azerbaijan's oil products' exploitation and transportation under his influence.

Despite, that the shortest way which connects Turkey with Azerbaijan passes on Armenia, potentially, the reason which blocked the choice of the best economical route, was conflict between these countries, particularly Karabac conflict. Turkey's position also contributes this fact, Turkey has blocked transporting communications with Armenia and assisted Azerbaijan.

TRACECA and common market of Eurasia is not only way to new economics, but this is a way to international safety-security and stabilization. TRACECA, Caucasus-Eurasia is a way to common market, this is the way to the XXI<sup>th</sup> century and to the third millennium.

It must be signified, that there are many reasons for why are important these projects: Baku-Tbilisi-Jeihan and Baku-Tbilisi-Erzrum for Georgia, and between these interests the main are economical interests, because it hasn't its own energetic recourses. Beside this, Georgia accepts important part of energetic recourses instead of passing tubes on his territory with Azerbaijan's profit of gas and oil. West capital is interested in safety of pipelines, this is the same countries' safety, on which there are passing pipelines.

Energetic recourses are being transported by Eurasian passage-way or by new great Silk Road, from Asia in Europe by passing Russia and Iran. This passage-way was assisted by the USA and the European Union and this is realizing now too, in that way, Silk Road has acquired new life, but now it is being realized oil products transportation on this way, instead of silk.

**Keywords:** Geat Silk Road, Eurasian passage-way, energetic recourses

**Reviewer:** Professor Maia Kipiani, Georgian Technical University

**Марика Лазвиашвили**

**Идея возрождения Большого шелкового пути**

### **Резюме**

Проблема нефти и газа в современной мировой экономике и политике настолько значима, что именно она во многом определяет характер отношений многих государств к Южному Кавказу.

Ресурсы нефтепродуктов Азербайджана и маршруты их транспортировки через Грузию, имеющие огромное геостратегическое значение обусловили свои положительные и отрицательные эффекты, как для Азербайджана, так и в целом для всего региона.

Положительные эффекты связаны, в основном, с западными государствами, которые стремятся получить доступ к альтернативным источникам нефти и газа и поэтому они с самого начала проявляли заинтересованность в освоении Азербайджанских энергоресурсов и создании альтернативных трубопроводов для их транспортировки. Это, в свою очередь, обеспечило приток значительных иностранных инвестиций - как в Азербайджан, так и в другие страны Кавказа (Грузию и Турцию), через которые проходят трубопроводы.

Что же касается отрицательных эффектов, то их вызывают региональные конкуренты по добыче и транспортировке нефти и газа - Россия и Иран, которые всеми своими средствами стараются подчинить своему влиянию эксплуатацию и доставку Азербайджанских нефтепродуктов.

Несмотря на то, что кратчайший путь, связывающий Азербайджан с Турцией, проходит через Армению, выбору данного потенциально наилучшего с экономической точки зрения маршрута помешали сложившиеся отношения между этими странами, в частности помешал Карабахский конфликт.

Этому способствовала также позиция Турции, она блокировала транспортные коммуникации с Арменией и поддерживала Азербайджан. Трасека и евроазиатский общий рынок это не только путь к новой экономике, но и путь к новому этапу международной безопасности и стабилизации.

Трасека кавказски-евроазиатский путь к общему рынку, это путь к XXI веку, третьему тысячелетию.

Следует отметить, что проекты Баку-Тбилиси-Джейхан и Баку-Тбилиси-Эрзерум важные для Грузии по ряду причин, среди них чисто экономические интересы государства, которое не обладает своими собственными запасами энергоносителей. Кроме того, наряду с удобным доступом к Азербайджанской нефти и газу, Грузия получает значительные средства за прохождение трубопроводов по ее территории. Вместе с тем, западный капитал заинтересован в безопасности стран, через которые они проходят.

Через "евразийский коридор" (трассека) или новый Великий Шелковый путь происходит переброска энергоресурсов Азии в Европу в обход России и Ирана. Идею такого коридора поддержали США и Евросоюз. Шелковый путь возродился, но по этому пути теперь вместо шелка происходит транспортировка нефти и газа.

**Ключевые слова:** Великий Шелковый путь, Евразийский коридор, энергоресурсы

**Рецензент:** Профессор Маиа Кипиани. Грузинский технический университет.

# ე კ ო ნ ო მ ი კ ა

## რამაზ სიჭინავა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ჩამოყალიბების პრობლემატიკა საქართველოში

გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან, სბარაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად ხშირად განიხილავდნენ საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხს, თუმცა აღნიშნულ იდეას სხვადასხვა მიზეზის გამო განხორციელება არ ეწერა. დღეისათვის ეს თემა კვლავ აქტუალური გახდა და რაც მთავარია, ამჟამად რეალურად დგას საკითხი ქვითში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ჩამოყალიბების შესახებ.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. იგი შეიძლება განისაზღვროს, როგორც მკაფიოდ შემოფარგლული ტერიტორია, რომელზეც მყარდება ეკონომიკურ-ფინანსური საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი, მეწარმეობის სტიმულირების, მეურნეობის პრიორიტეტულ სფეროებში, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ძირითადად განვითარებადი ქვეყნების ნაკლებადგანვითარებულ რეგიონებში იქმნება ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, ერთ ქვეყანაში შეიძლება რამოდენიმე თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არსებობდეს.

ვფიქრობთ, რომ მართებულია დღეისდღეობით საქართველოში, კერძოდ კი ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ჩამოყალიბება.

ქ. ფოთი მდებარეობს საქართველოს დასავლეთ ნაწილში და განთავსებულია შავ ზღვაზე. ეს უკანასკნელი კი მსოფლიოს ოკეანეს უკავშირდება ბოსფორის, დარდანელისა და გიბრალტარიის სრუტეებით. ძირითადად იგი სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი ევროპა-აზიის სატრანსპორტო კავშირში. ამ სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობას. ფოთის ნავსადგური ასევე უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობითაც გამოირჩევა. შავი ზღვის აუზის მდინარეებზე განლაგებულია ისეთი ქალაქები, როგორცაა: სოფია, ვენა, კიევი, ანკარა, ლუბლიანა, ბუდაპეშტი და სხვა ევროპის ტერიტორიის 1/3



შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება, სადაც დაახლოებით 160 მლნ კაცი ცხოვრობს.

ფოთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გადაქცევა ნიშნავს, რომ ეს ზონა მოემსახურება არა მარტო ფოთის პორტს, არამედ მთელს რეგიონს. კონკრეტულად ფოთის პორტის ტერიტორიაზე თავისუფალი ზონის შექმნა საქართველოში ინვესტორების შემოსვლას შეუწყობს ხელს, ეს ერთ-ერთი შანსი იქნება ახალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერებატევადი დარგების მოზიდვისათვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს წარმოების განვითარებას.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოდებას რთული პროცესები უძღვევა წინ. იგი ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკაში გარღვევას და ინტეგრაციას მსოფლიო ბაზარზე. მას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თავისუფალი ზონების შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს უარყოფითი შედეგებიც. უცხოელი ინვესტორები, როგორც წესი, ცარიელ ადგილზე არ მოდიან. ისინი თავისუფალი ზონებით ინტერესდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკვე არსებობს სათანადო ინფრასტრუქტურა, ან მისი შექმნის ხარჯები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ინფრასტრუქტურის შექმნის ხარჯები კი ზოგჯერ მთლიანი ინვესტიციის 80% შეადგენს. ასე რომ, მოსაზრება, თითქოს ყველა ხარჯს უცხოელი ინვესტორი დაფარავს, ზოგჯერ არ მართლდება. მეორეც, ზოგიერთ ქვეყანაში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა კორუფციის წყაროდ იქცა. გარკვეული გარიგების საფუძველზე მთავრობის მიერ უცხოური კომპანიისათვის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დაწესებული შეღავათები ზოგჯერ ადგილობრივი მეწარმეობისა და მთლიანად ქვეყნის ინტერესების საზიანოდ მოქმედებს. გარდა ამისა, ქვეყნის მთავრობა ხშირ შემთხვევაში თვალს ხუჭავს თავისუფალ ზონაში გარემოს დაბინძურებაზე, მუშახელის აუტანელ სამუშაო პირობებზე, სხვა დარღვევებზე და ინვესტიციის მოზიდვის მიზნით უცხოელ მეწარმეებს მაინც ათავისუფლებს გადასახადებისაგან გარკვეული ვადით. თუმცა არ ითვალისწინებს, რომ განვითარებადი ქვეყნების სიმრავლე საერთაშორისო კორპორაციებს ფართო არჩევანს აძლევს. შეღავათიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ისინი ადვილად პოულობენ სხვა ქვეყანას, სადაც თავს ისევ აარიდებენ გადასახადებს და თავის საქმიანობას კვლავ “სასათბურე პირობებში” გააგრძელებენ.

2007 წლის 3 ივლისში მიღებულ იქნა კანონი “თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ”. ეს კანონი ადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისა და ლიკვიდაციის წესს, განსაზღვრავს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მართვისა და

საქმიანობის წესს, ადგენს თავისუფალი ზონის საწარმოებისათვის დამატებით პირობებს, საგდასახადო შეღავათებსა და ამ ზონების საქმიანობისათან დაკავშირებულ საკითხებს. ამ კანონის მიზანია, შეიქმნას მიმზიდველი გარემო ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხელი შეუწყოს კაპიტალის და ტექნოლოგიების შემოსვლას საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებული იყო ტენდერი ორი პროექტის: ფოთის საზღვაო პორტის იჯარისა და პორტის მიმდებარე 400 ჰა თავისუფალი სამეწარმეო ზონის 49 წლიანი მართვის უფლების მოპოვებაზე. ორივე პროექტი ერთიანი პაკეტის შემადგენელ ნაწილებად განიხილებოდა და სამინისტროს განცხადებით პრიორიტეტი იმ განცხადებებს მიენიჭებოდა, რომელიც ორივე პროექტზე იქნებოდა გაკეთებული. ამ ტენდერს ბევრი ქვეყნის (ინგლისი, გერმანია, სინგაპური, გაერთიანებული ემირატები) ცნობილმა ოპერატორებმა გააკეთეს განაცხადი. ტენდერში გაიმარჯვა გაერთიანებული ემირატების წარმომადგენელმა “რაიო ჯგუფმა”, რომელმაც 49 წლით აიღო იჯარით ფოთის პორტი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ფოთის საზღვაო პორტს 25 მლნ ტონის ტვირთბრუნვის პოტენციალი გააჩნია და წინასწარი გაანგარიშებით 60 მლნ აშშ დოლარად იყო შეფასებული, მაგრამ როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განაცხადა, აქ გადამწყვეტ როლს არა ფასი არამედ კარგად გათვლილი და მიმზიდველი ბიზნეს გეგმა თამაშობს.

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო, რომლის დროსაც რუსმა სამხედროებმა ინდუსტრიული ზონის ტერიტორია დაიკავეს. მომდევნო წლების წარუმატებლობა, ეკონომისტების აზრით შეიძლება დასახელდეს არაეფექტური მენეჯმენტი და კომუნიკაციის უქონლობა.

ამერიკულმა კომპანიამ “ბულსაი ტრეიდინგმა” ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობა 2011 წლის სექტემბერში დაიწყო. კომპანიას შემოქონდა საბავშვო საქონელი აშშ-დან და მის რეალიზაციას ინდოეთსა და სამხრეთ კავკასიაში ახდენდა, ერთ-ერთი მიზეზი რის გამოც ფოთის ზონა აირჩიეს, მოგების გადასახადის არარსებობა და საქონლის საბაჟო გაფორმების ძალიან მარტივი და სწრაფი განხორციელება იყო, შემოდის ტვირთი თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არანაირ პროცედურას არ საჭიროებს, მხოლოდ ესწრება მებაჟე და მიმდინარეობს დათვალიერება. შემოტანის დროს და გატანის დროს ჩვეულებრივი საბაჟო პროცედურა ტარდება, დეკლარაციაც იქვე იბეჭდება. 200 მეტრშია საბაჟო და დაახლოებით 1 ან 2 საათში ყველა პროცედურა დამთავრებულია. მიუხედავად ამ უპირატესობისა, ფოთის

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა დღემდე არაეფექტიან პროექტად ითვლება.

ფოთის ინდუსტრიულ ზონაში დასაქმება, მხოლოდ რამდენიმე ასეულმა კაცმა შეძლო. მოქალაქეების ნაწილს არც კი სძენია თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობის შესახებ. “რაკია საქართველოს” თანამშრომლების თქმით, ისინი ძველებურად აგრძელებენ მუშაობას ახალი ინვესტიციების მოსაზიდად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფოთის პორტის სანაპირო წყლის სიღრმე 9-11 მეტრს არ აღემატება, ამიტომ პორტთან მიდოგმა მხოლოდ მცირე გემებს შეუძლიათ, ამიტომ აუცილებელია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება იმგვარად, რომ პორტში შემოსვლა დიდმა ხომალდებმაც შეძლონ.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი “თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ” ითვალისწინებს ორი სახის თავისუფალ ზონას: თავისუფალ სავაჭრო ზონასა და თავისუფალ საწარმოო ზონას, ამიტომაც აირჩია მთავრობამ სახელწოდება “ინდუსტრიული”. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა იმიტომ იქმნება, რომ იქ დარეგისტრირებულ საწარმოზე არ იყოს არანაირი ზეწოლა სახელმწიფოს მხრიდან.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა უნდა შეიქმნას იქ, სადაც არსებობს ინფრასტრუქტურული კვანძები, არსებობს დიდი ტერიტორია და არსებობს დასაქმების პრობლემა.

## ლიტერატურა

### Reference:

- 1.n.CikvilaZe, “Tavisufali ekonomikuri zonebis ganviTarebis perspeqtivebi saqarTveloSi”2008w.
- 2.z.vaSakiZe, levan silagaZe “Tavisufali ekonomikuri zonebi Tbilisi “2008w.
- 3.m feiqriSvili “saqarTveloSi Tavisufali ekonomikuri zonebis Seqmnis mniSvneloba sagareo vaWrobis ganviTarebaSi”Tbilisi 1998w.
- 4.saqarTvelos kanonproeqti “Tavisufali industriuli zonebis Sesaxeb” Tbilisi 2007w.
5. <http://www.finance.gov.mk/gb/laws/freezone.pdf>

**Ramaz Sitchinava**

**Establishment of a free industrial zone in Georgia.**

### Summary

Poti free industrial zone will contribute to the development of the country's economic potential and, therefore the production of goods within the country, who will be competitive in the world market. Increase the attraction of foreign investment, import of new technologies, introduction and assimilation of, the provision of employment through the creation of new jobs, the creation and strengthening of trade unions, transport infrastructure development and modernization.

**Keywords:** industrial zone, a free economic zone, Black Sea basin, foreign investors, sustainable development.

**Reviewer:** Professor Shota Veshapidze. Georgian Technical University.

**Рамаз Сичинава**

**Создание свободной индустриальной зоны в Грузии**

### Резюме

Создание свободной индустриальной зоны в Потти, будет способствовать развитию экономического потенциала страны и, следовательно, производство товаров внутри страны, которые будут конкурентоспособны на мировом рынке. Увеличение привлечения иностранных инвестиций, импорта новых технологий, внедрение и освоение; обеспечение занятости через создание новых рабочих мест; создание и укрепление иностранных профсоюзов; развитие транспортной инфраструктуры и модернизации.

**Ключевые слова:** Промышленная зона, свободная экономическая зона, Черноморского бассейна, инвестиции, иностранные инвесторы, устойчивое развитие.

**Рецензент:** Профессор Шота Вешапидзе Грузинский технический университет.

# ს ა მ ა რ თ ა ლ ი

## თამაზ აჭუბარდია „პოლიტიკური კაზუსის“ და „ეკონომიკური კაზუსის“ ცნებები და მათი სამართლებრივი მიმართება

„კაზუსი“ ლათინური წარმოშობის (casus) სიტყვაა და სამართლის ენაზე ნიშნავს შემთხვევას, შემთხვევით ქმედებას, რომელსაც, თუშეცა გარეგნულად სამართალდარღვევის ნიშნები აქვს, მაგრამ რეალურად არ შეიცავს დანაშაულის ელემენტებს და ამდენად, არადასჯადია.

იურიდიულ ენციკლოპედიაში კაზუსი (შემთხვევა) განიმარტება როგორც მოვლენა, რომელიც - 1) დგება მასზე პირის მიმართული ნებისგან დამოუკიდებლად და ამიტომ ის არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოცემული პირობების დროს, ან 2) შემთხვევითი ქმედება, რომელიც განზრახ, ან გაუფრთხილებელი ქმედებისგან განსხვავებით, არის სამართალდარღვევის ნიშნების მქონე, მაგრამ მოკლებულია დანაშაულის ელემენტებს და მაშასადამე, მას არ მოსდევს იურიდიული პასუხისმგებლობა. ( იურიდიული ენციკლოპედია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.2008, გვ.270)

გარკვეული პირობითობით, შეიძლება ითქვას, რომ კაზუსის ცნება გამოიყენება ისეთი პროცესების აღსაწერად, როდესაც, გარეგნულად მაინც, ერთი სამართლებრივი ნორმა წინააღმდეგობაში მოდის მეორე სამართლებრივ ნორმასთან და, თუ ნორმატიული აქტების შესახებ კანონის თანახმად, ეს ნორმები ერთი და იმავე დონის ნორმატიული აქტია, მაშინ ისინი წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან და ამდენად, გვაქვს კაზუსი. ასეთი სამართლებრივი კოლიზიის გადაჭრის გზას წარმოადგენს, ჯერ ერთი ორგანულ კანონში დაფიქსირებული ნორმა, ხოლო ასეთის არ არსებობის პირობებში ის ნორმა მუშაობს, რომელიც უფრო გვიან მიღებულ სამართლებრივ აქტშია დაფიქსირებული.

ჩვენი მიზანს წარმოადგენს ისეთი სიტუაციების განხილვა, როდესაც სამართლებრივად წმინდა წყლის სამართალდარღვევასთან გვაქვს საქმე და, ამდენად ასეთი ქმედება დასჯადი უნდა იყოს, მაგრამ ამის პარალელურად, არსებული სიტუაცია, ჯერ ერთი, ეკონომიკურად ამ პროცესში მონაწილე სუბიექტებისათვის იმდენად მომგებიანია, რომ მასზე უარის თქმა ცალკე აღებული ქვეყნისათვის, თუნდაც ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, არის გაუმართლებელი და, მეორეც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქვეყნების დონეზე არსებული ურთიერთობებიდან გამომდინარე, პოლიტიკურად არის მიზანშეწონილი.

აღბათ არ ვიქნებით ორიგინალური, თუ ვიტყვით, რომ ქვეყნის დონეზე პოლიტიკურად მიზანშეწონილია ნებისმიერი ქმედება, რომელიც ქვეყნის ინტერესებს წაადგება, ხოლო როგორი „სასაქონლო სახე“ ექნება ამ ქმედებას, ეს უკვე დიპლომატების და პიარის საქმეა.

თუ უფრო კონკრეტულად ვიტყვით, ქვეყნებს შორის ურთიერთობების დონეზე ჩვენ ძალიან ხშირად გვაქვს ისეთი შემთხვევა, რომელიც ვერანაირად ვერ ჯდება საერთაშორისო ურთიერთობებით დადგენილ ნორმებში ვერც სამართლებლივად, ვერც ეთიკურად და ვერც მორალის თვალსაზრისით, მაგრამ ორივე მხარისათვის მომგებიანია, როგორც ეკონომიკურად, ასევე, აღბათ ურთიერთობების ასეთ დონეზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, – პოლიტიკურადაც.

ჩვენი შემდგომი ანალიზისათვის, ზემოთ მოყვანილი მსჯელობების საფუძველზე შემოვიღოთ „ეკონომიკური კაზუსის“ და „პოლიტიკური კაზუსის“ ცნებები.

„პოლიტიკური კაზუსი“ ვუწოდოთ ისეთ პოლიტიკურ სიტუაციას, რომელსაც ადგილი აქვს ისეთი ეკონომიკური პროცესის მიმდინარეობისას, რომელიც სამართლებრივი კაზუსის ნიშნებს ატარებს, მაგრამ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ქვეყანა ასეთი პროცესის მიმდინარეობაზე უარს არ ამბობს.

ამის მსგავსად, „ეკონომიკური კაზუსი“ ვუწოდოთ ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას წარმოქმნილ ისეთ სიტუაციას, რომელიც ასევე სამართლებრივი კაზუსის ნიშნებს ატარებს, მაგრამ ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ქვეყანა ასეთი ქმედების გატარებაზე უარს არ ამბობს.

ამ ცნებების შემოდების შემდეგ შევეცდებით მოვიყვანოთ, როგორც პოლიტიკური კაზუსის, ასევე ეკონომიკური კაზუსის შემთხვევები და განვიხილოთ მათი, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური შედეგები. ამის შემდეგ შევეცადოთ, პასუხი გავცეთ, ერთი შეხედვით რიტორიკულ შეკითხვას, – რამდენად მიზანშეწონილია პოლიტიკური და ეკონომიკური კაზუსების არსებობა საზოგადოებისათვის.

საზოგადოების განვითარების ისტორია უამრავ შემთხვევას იცნობს, როდესაც პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ირღვეოდა, როგორც სამართლებრივი ნორმები, ასევე ადგილი ჰქონდა ეკონომიკურად მიზანშეწონილი საქმიანობის სრულიად საპირისპირო ქმედებებს. ამას, როგორც წესი, სახელმწიფო ინტერესებით ხსნიდნენ, რისთვისაც, ჩვენი აზრით მუშაობდა დროის ერთსა და იმავე მომენტისათვის ურთიერთ გამომრიცხავი, მაგრამ

დროის სხვადასხვა პერიოდისათვის ურთიერთ შემაჯავებელი ორი თეზა: – „ეკონომიკა, ეს არის კონცენტრირებული პოლიტიკა“ და „პოლიტიკა, ეს არის კონცენტრირებული ეკონომიკა“.

რომელი თეზაც არ უნდა იყოს სწორი, ჩენი აზრით კი ორივე ეს თეზა სამართლიანია თავთავის დროზე, საქმე გვაქვს ან პოლიტიკურ კაზუსთან, ან ეკონომიკურ კაზუსთან, ან ორივესთან ერთად. მართლაც, პოლიტიკური კაზუსი გვექნება, როდესაც პოლიტიკა მთლიანად არის დაქვემდებარებული ეკონომიკას, ხოლო მეორე შემთხვევა, ანუ ეკონომიკური კაზუსი გვაქვს, როდესაც ეკონომიკა არის მთლიანად დაქვემდებარებული პოლიტიკას. რაც შეეხება ორივეს არსებობას, იგი შეიძლება გვექონდეს დროის რაღაც გარკვეულ ინტერვალში, მაგრამ არა დროის ერთსა და იმავე ინტერვალში.

გარკვეული პირობითობით შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის ისტორია პირველის მეორისადმი და მეორის პირველისადმი დაქვემდებარების დაუსრულებელი ისტორიაა და სხვა არაფერი.

**პოლიტიკური ინტერპრეტაციის შედეგი.** პირველი მაგალითი, რომელიც გვინდა მკითხველს შევთავაზოთ, ეს გახლავთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შრომის მსოფლიო ბაზარზე იაფი და ამასთან საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მუშახელის სიჭარბით წარმოქმნილი პრობლემა.

როგორც გვახსოვს, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საზღვრები გაიხსნა და სამუშაო ძალა მიაწვდა ევროპისა და ამერიკის ბაზარს და ბაზარმაც დაიწყო მისი, ასე ვთქვათ, „ათვისება“. ეს „ათვისება“ პირველ რიგში გამოიხატებოდა, როგორც, ე.წ. „არაღვეალების“ მომრავლებით ამერიკის შრომის ბაზარზე.

პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო „თვალს ხუჭავდა“ არააღვეალებზე ძირითადად ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ეს ეხება სამუშაოთა იმ ჩამონათვალს, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა გაუბოდა, ხოლო მათი შესრულება კი საზოგადოებისათვის აუცილებელი იყო. ასეთი არაპრესტიჟული სამუშაოების რანგს განეკუთვნებოდა მშენებლობა, გზების, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა, ჰიპერ, თუ სუპერ მარკეტების, სხვა შენობა-ნაგებობებისა და საერთოდ, მთელი ქალაქის დასუფთავება, ე.წ. „ბები სითერობა“ და ა.შ.

მიუხედავად ტექნიკის განვითარების არნახულად მაღალი დონისა, ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობა გაუბოდა ამ სამუშაოებს და ამიტომ ქვეყნები იძულებულები აღმოჩნდნენ მიეღოთ არაღვეალები. მეორე მიზეზი, ცხადია, უკვე მომზადებული, ძალზე მაღალკვალიფიციური კადრებით საკუთარი სამეცნიერო ბაზის

განახლება-გაუმჯობესება გახლდათ. ამასთან ეს კადრები თანახმა იყო გაცილებით დაბალ ანაზღაურებაზე ემუშავა, რაც, საბოლოო ჯამში, ორივე მხარისათვის მომგებიანი გარიგება იყო.

სახეზე გვაქვს აშკარა სამართლებრივი კაზუსი – ქვეყანაში შემოდინან არალეგალები, რისი აღკვეთაც ხელისუფლებას ევალება და შეუძლია კიდევ, მაგრამ იგივე ხელისუფლება, ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, იღებს, შეიძლება ითქვას, პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და თვალს ხუჭავს ამაზე.

მიზეზი მარტივია, – არალეგალების უდიდესი ნაწილი მზად არის შეასრულოს ნებისმიერი სამუშაო, ოღონდაც კი თავი გამოიკვებოს და, თუ შესაძლებლობა იქნა, ოჯახსაც გაუზაინოს.

მიგრანტების პრობლემა ამერიკაში ადრეც არსებობდა, მაგრამ ისინი უმთავრესად მექსიკის, ლათინური ამერიკის და აზიის ქვეყნებიდან წამოსული, როგორც წესი, დაბალი კვალიფიკაციის მუშაკებისაგან შედგებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სურათი კარდინალურად შეიცვალა, – მსოფლიო შრომის ბაზარმა მიიღო მაღალკვალიფიციური, განათლებული და სასიამოვნო გარეგნობის მუშაკთა უზარმაზარი არმია.

**მსყიდველობითი უნარის პარიტეტი, როგორც ეკონომიკური კაზუსი.** იმის საჩვენებლად, რომ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე შესაძლოა ეკონომიკური კაზუსი გეგმონდეს, ანუ ეკონომიკა მთლიანად იქნეს დაქვემდებარებული პოლიტიკისადმი, შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია მსყიდველობითი უნარის პარიტეტის სახელით.

თავისთავად მსყიდველობითი უნარის პარიტეტის იდეა მისაღებია და მისი საწინააღმდეგო, თეორიის დონეზე არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიის დონეზე.

ამ თეორიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნებს შორის ვალუტების გაცვლითი კურსი ისეთი უნდა იყოს, რომ ერთი და იმავე საქონლის შექნა სხვადასხვა ვალუტების გაცვლითი კურსის ექვივალენტური რაოდენობით უნდა შეიძლებოდეს. მაგალითისათვის, თუ ერთი ბოთლი კოკა-კოლა ამერიკაში ღირს ერთი დოლარი და გაცვლითი კურსი დოლარსა და ლარს შორის არის 1 დოლარი= 1,67 ლარს, მაშინ ერთი ბოთლი კოკა საქართველოში უნდა ღირდეს 1,67 ლარი.

თავი რომ დავანებოთ ტრანსპორტირების ხარჯებს, საგადასახადო კოდექსებს შორის განსხვავებიდან გამომდინარე დაბეგვრის თავისებურებებს, და საერთოდ, განსხვავებულ საგადასახადო წნებს, წარმოების ფაქტორების ფასები ქვეყნებიდან



ქვეყნებამდე იმდენად განსხვავებულია, რომ მისი ასახვა გაცვლით კურსში პრაქტიკულად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, როგორც წესი, ასეთი გაცვლისას ერთ-ერთი ქვეყანა აუცილებლად ზარალდება. მაგალითისათვის იგივე კოკა ავილოთ. მასთან მიმართებაში მსყიდველობითი უნარის პარიტეტი გაცვლით კურსთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია.

ამის შემდეგ მოდით გავანალიზოთ ვინ ხეირობს აქედან და ვის ხარჯზე? რამდენადაც წარმოების ფაქტორებიდან, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში პროდუქციის ღირებულების ყოველ 100 ერთეულზე, შრომაზე, როგორც წარმოების ფაქტორზე, დაახლოებით 70 ერთეული მოდის, ხოლო დაბალგანვითარებულ ქვეყნებში კი მხოლოდ 15-20 ერთეული, ცხადია, რომ, თუ ვიქნებით ბოლომდე ობიექტურები, საქართველოში კოკას ფასი სულ ცოტა 30 პროცენტით იაფი უნდა ღირდეს.

ამდენად, მსყიდველობითი უნარის თითქოსდა თეორიულად საკვებით გამართული მოდელს, პრაქტიკაში უსამართლობის მკვეთრად გამოხატული სურნელი დაჰკრავს, რასაც აშკარად ეკონომიკური კაზუსის სუნი ასდის.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, პოლიტიკური და ეკონომიკური კაზუსების ცნების შემოტანა საშუალებას გვაძლევს გავანალიზოთ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შედეგად რა პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და როგორი დათმობის ხარჯზე, რადგანაც, როგორც წესი, ეს თანამშრომლობა პოზიტივთან ერთად ყოველთვის, გარკვეული დოზით ნეგატივსაც შეიცავს. თუ პოზიტივი ქვეყნისათვის უფრო მეტი და ფასეულია ვიდრე ნეგატივი, ქვეყნები, როგორც წესი ასეთ ურთიერთობებზე მიდიან. ანუ, პოლიტიკური და ეკონომიკური კაზუსების არსებობა გარდაუდებელია.

ახლა მოვიყვანოთ ორი მაგალითი იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის ინტერესებისათვის სწორად გათვლილი ეკონომიკური, თუ პოლიტიკური კაზუსის ცხოვრებაში გატარება, თუ არგატარება.

ჯერ კიდევ 1996 წელს, საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტში სავალუტო ფონდის მიერ მორიგი საკრედიტო ტრანშის ერთ-ერთ პირობად წამოყენებულ იქნა ფიზიკური პირების მიერ საზღვრის გადაკვეთისას „300 ლარზე მეტი ღირებულების საქონლის საბაჟო გადასახადით აუცილებელი დაბეგვრის შესახებ“ შესაბამის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. თავისთავად მოთხოვნა სამართლებრივად გამართული და ნებისმიერი განვითარებული ქვეყნისათვის სრულიად მისაღები იყო, მაგრამ რამდენად

გამართლებული იყო ამ კანონის მიღება ჩვენთვის და თანაც იმ დროს, ჩვენი აზრით ძალზე საკამათოა.

პარლამენტმა ეს კანონი მიიღო და მიუხედავად ჩვენი საბაჟოს წარმოუდგენლად მაღალი კორუმპირებულობის ხარისხისა, ქვეყანამ, შეიძლება ითქვას ასეულობით მილიონი ლარი დაკარგა. საქმე იმაშია, რომ ე.წ. „ხელჩანთის ბიზნესი“ თურქეთიდან და ღუბაიდან თვითმფრინავებით, ამიერკავკასიის მასშტაბით თბილისში მოემართებოდა და შემდეგ ნაწილდებოდა სომხეთსა და აზერბაიჯანში, რაც პირველ რიგში გეოგრაფიული ფაქტორით და, მეორე, ამ ქვეყნებს შორის არსებული ვითარებით აიხსნებოდა. ზემოთხსენებული კანონის მიღებამ კი ეს ბიზნესი იმდენად სარფიანი გახდა ამ ქვეყნებისათვის, რომ მათთვის უფრო მიზანშეწონილი გახდა პირდაპირი მარშრუტებით მოძრაობა.

ამგვარად, ასეთი ქმედება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ალბად არ უნდა იყოს გამართლებული და მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიღებამდე არსებული სიტუაცია ეკონომიკური კაზუსის ტიპური მაგალითი იყო, ქვეყანას მასზე უარი არ უნდა ეთქვა.

რაც შეეხება მეორე მაგალითს, ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საკითხია და იგი ე.წ. „ერგნეთის ბაზრობას“ შეეხება. ძნელია იმ ეკონომიკური და, რაც მოცემულ სიტუაციაში უფრო მნიშვნელოვანი იყო, პოლიტიკური დანაკარგების შეფასება, რაც ქვეყანას მისმა გაუქმებამ მოუტანა. იგი, პოლიტიკურად, ქვეყნის გამთლიანებისაკენ მიმავალ გზაზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, ხოლო ეკონომიკურად, – ორივე მხარისთვის იმდენად მომგებიანი, რომ შეიძლება ითქვას, ურთიერთობებში უმთავრესი სტაბილიზატორის როლს ასრულებდა და მიუხედავად აშკარად გამოხატული ეკონომიკური კაზუსის ტიპური მაგალითისა, ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის გარანტის რანგში აღიოდა.

ამგვარად ჩვენს მიერ შემოტანილი „პოლიტიკური კაზუსის“ და „ეკონომიკური კაზუსის“ ცნებები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სწორად წარმართვისათვის, რამდენადაც იგი გვეხმარება დანაკარგების-სარგებლობის შედარების გზით მივიღოთ ქვეყნისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებები.

## ლიტერატურა

### References:

1. iuridiuli enciklopedia, gamomcemloba `meridiani~, Tb.2008, gv.270.
2. saqarTvelos samoqalaqo kodeqsi.
3. kanoni normatiuli aqtebis Sesaxeb.
4. g. menqiu. ekonomikis principebi \_ Tbilisi, 2007w.
5. T. Akubardia. Profit Irrationality and Its Economic Concept. Tbilisi, 2012

**Tamaz Akubardia**

**To a question of definition of terms „Political Casus” and „Economic Casus”**

### **Summary**

In article definition attempt concept „Political Casus” and „Economic Casus” is given. Under the term, „Political Casus” we understand a situation when at the available economic relations there is a political situation which though bears signs of a legal incident but for reasons of political expediency the state doesn't refuse these the relation. Under the term, „Economic Casus” we understand a situation when at available economic policy there is an economic situation which bears signs of a legal incident but for reasons of economic feasibility the state doesn't refuse this policy.

**Keywords:** „Political Casus”, „Economic Casus”, economic feasibility

**Reviewer:** Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**Тамаз Акубардия**

**К вопросу определения терминов «политический казус» и «экономический казус»**

### **Резюме**

В статье дается попытка определения понятия «политический казус» и «экономический казус». Под термином «политический казус» мы понимаем ситуацию когда при имеющихся экономических отношениях возникает политическая ситуация которая хотя и несёт признаки правового казуса но по соображениям политической целесообразности государство не отказывается от этих отношении. Под термином «экономический казус» мы понимаем ситуацию когда при имеющейся экономической политике возникает экономическая ситуация которая несёт признаки правового казуса но по соображениям экономической целесообразности государство не отказывается от этой политики.

**Ключевые слова:** «политический казус», «экономический казус», экономическая целесообразность

**Рецензент:** Профессор Шота Догонадзе, Грузинский технический университет.

# ს ა ზ ო ბ ა დ ო ე ბ ა

## მარიამ ვარლიაშვილი, ქათევან გაფრინდაშვილი ჟურნალისტის სოციოლოგიური შიზანობა

ჟურნალისტის სოციოლოგიური შეგნება იმ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, თუ როგორ განმარტავს თანამედროვე სოციოლოგია **შემეცნების ზოგად მეთოდოლოგიას**. აქ ცენტრალური პრობლემაა გონივრული შეფარდების ძიება რეალურ სამყაროს გაგებასა (კონკრეტული მოვლენები, ხალხი, მათი ქცევები) და ჭეშმარიტების მეცნიერულ წვდომას (სინამდვილის იდეალისტური რეპრეზენტაცია, თუმცა ობიექტურად და განზოგადებულად) შორის.

მეცნიერებას ხშირად უპირისპირებენ უტილიტარულ აზროვნებას, მაგრამ უპირატესი მაინც „სიცოცხლის სამყაროს“ ცნებაა, რადგან სწორედ იგი ასოცირდება უფრო მშვენიერ, გასულიერებულ, მოვლენებით აღსავსე შინაარსთან. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტიკასთან მიმართებაში ჭეშმარიტი სწორედ ასეთი დახასიათებაა: პრესაში სამყაროს სურათები უპირატესად კონკრეტული და ცხოვრებისეულია. სწორედ ამაშია მისი მკითხველისათვის მიმზიდველობის საწინდარი. ჟურნალისტიკამ თავისი ევოლუციის პროცესში მტკიცედ აითვისა შემეცნების ეს დონე. ამიტომ უფრო მნიშვნელოვანი მეორე დონეა – **მეცნიერული ობიექტურობის შეტანა პროფესიულ აზროვნებაში**.

სისტემური აზროვნების კულტურა ღრმა ცოდნისადმი და მათი პატრონებისადმი პატივისცემით, ინფორმაციისადმი სპეციალისტთა უფრო დიდი ნდობით იწყება, მოვლენებზე ჟურნალისტების სუბიექტურ რეაქციასთან შედარებით.

ობიექტზე მთლიანი შეხედულების სანაცვლოდ ცალმხრივი, გაუბრალოებული ხედვა აზროვნების დეფექტია და არა შეხედულებათა სამოქალაქო მიმართულებისა ან სპეციალიზაციისა.

ჟურნალისტის სისტემური აზროვნება საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა სფეროთა სინთეზური შემეცნების საფუძველზე ყალიბდება.

კონკრეტული ობიექტის ირგვლივ არსებული სიტუაციის უტყუარი განსჯის დროს, მით უფრო სოციუმში, გასათვალისწინებელია, რომ ეს სიტუაცია უამრავი ფაქტორის – ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალურ – ფსიქოლოგიური და ა.შ. –ზეგავლენით იქმნება. აი, რატომაც, რომ ჟურნალისტების საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამაში ამდენი სოციალური და ჰუმანიტარული საგანია შეტანილი. განათლების ენციკლოპედიურობა სამყაროს სისტემური ხედვის საფუძველს ქმნის. სირთულე კი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა

მოიძებნოს შემაერთებელი ხიდეები ფუნდამენტურ მეცნიერებასა და უშუალოდ პროფესიულ სწავლებას შორის.

ამავე ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება საუნივერსიტეტო პროგრამებში მოსახლდრე სასწავლო კურსების შეტანა, რომლებშიც ორ-ორი საწყისია შერწყმული. ესენია: ჟურნალისტიკის ფსიქოლოგია, მასმედიის პოლიტოლოგია, ჟურნალისტიკური სამართალმცოდნეობა, ჟურნალისტიკური ეთიკა, ჟურნალისტიკის ეკონომიკა, მასმედიის მენეჯმენტი და სხვა. სასწავლო პროგრამებში იქმნება ერთგვარი პროექცია, რასაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები შემდეგ პრაქტიკაში შეხვდებიან.

ფართო განათლება აზროვნების სოციოლოგიური კულტურის სინონიმი კი არაა, არამედ მისი საწინდარია. მისი მომდევნო ნაბიჯია სოციოლოგიური ინფორმაციის წყაროების სპეციალური, რეგულარული გაცნობა და, რაც მთავარია ყველაზე ჩახლართული და მრავალსაპექტა კოლიზიის „სოციალურობის“ დიაგნოსტიკაში ვარჯიში. განსაკუთრებით აუცილებელია ფაქტების სენსაციური გამომსახველობის ანალიტიკური დასკვნებისაგან მკაფიო განსხვავების უნარი.

სოციოლოგიური აზროვნების კიდევ ერთი თავისებურება **მოვლენის მოძრაობაში (დინამიკაში)** დანახვის უნარია, გუშინდელ და განსაკუთრებით ხვალინდელ სოციალურ რეალობებთან ურთიერთკავშირში. შექმცნების თანმიმდევრული, დიალექტური მეთოდი იმის აღიარებას ითხოვს, რომ მოვლენები უახლოეს და გრძელვადიან შედეგებს უნდა შეიცავდეს. ფუნდამენტური გამოკვლევები ყოველთვის ვერ იძლევა პასუხს სიტუაციის განვითარების ამ კოდზე, რადგან ჩამორჩება საზოგადოებრივი ცხოვრების დაჩქარებულ ტემპებს. ამიტომაც სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ, მაგალითად, პოლიტიკური პროცესების შესწავლისას დღეს აშკარად ძლიერდება ინტუიციის, გამოცდილებისა და ოპერატიული ექსპერიმენტის როლი [მატვევი 1993: 25-26].

პრესის უპირატესობა სწორედ ამგვარი ანალიზის უნარს უკავშირდება. გამოდის, რომ ფართოვდება პრესის, როგორც სოციალური ანალიტიკოსის შესაძლებლობები და უფრო მწვავე ხდება იმის მოთხოვნილება, რომ ჟურნალისტს უნდა შეეძლოს დროის წინ სწრება, ამასთან მოვლენის აზრობრივი განვრცობის უნარიც უნდა შესწევდეს [კორკონოსენკო 2004 : 77].

ჟურნალისტის გამოსვლა აქტუალურ პრობლემაზე ყოველთვის საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტია და მეტ-ნაკლებად საგრძნობ რეზონანსს იწვევს. ამიტომ სოციოლოგიური შეგნების სტრუქტურაში საკუთარი პუბლიკაციების, ქმედებების შედეგებზე პასუხისმგებლობის გაგებაც შედის. ამაში მორალური სენტენციები კი

არ იგულისხმება, არამედ ნორმატიული ეთიკა, რომელიც სამართალს ესაზღვრება, ზოგჯერ კი ტექსტობრივადც ემთხვევა.

ჟურნალისტიკისათვის ყველაზე ძნელია საკუთარ ტექსტთან დაშორება, მისი შორიდან განსჯა ობიექტურობის ხარისხის დადგენის მიზნით. მკითხველის უფლებაა იმის ცოდნა, თუ რით წარმოსდგება ჟურნალისტი-შემფასებლური ანალიზით თუ ჭეშმარიტების დასაბუთებით. პრესის წარმომადგენელთა ქვევამხედვარობაში დადანაშაულება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა სიმართლე იცინა, მაგრამ შეგნებულად ჩქმაღავენ. ამიტომ დადანაშაულებამდე იმის გარკვევაა აუცილებელი, რა არის სიმართლე, რასთან მიმართებაშია სიმართლე, რა კრიტერიუმების მიხედვითაა სიმართლე.

აუცილებლად გასათვალისწინებელია სიმართლის კატეგორიის პირობითობა. რაიმე ფაქტთან ან მოვლენასთან მიმართებაში, განსაკუთრებით შეფასებითში, იმდენი სიმართლეა, რამდენი თვითმხილველი ან მონაწილეც ჰყავს ამ ფაქტსა თუ მოვლენას. სიმართლე ყოველთვის ბევრია, ყველას თავისი სიმართლე აქვს, ერთადერთი მხოლოდ ჭეშმარიტებაა. ასე რომ, ვიდრე ჟურნალისტს სიმართლის დაფარვას დაწამებდეთ, თავად სიმართლის არსი, საზომები უნდა გავარკვიოთ.

გემანელი სოციოლოგი ი. ჰაბერმასი ვარაუდობს, რომ ადამიანი ერთდროულად სამ განზომილებაში (სამყაროში) არ არსებობს. ყოველ სამყაროს კი ქცევის საკუთარი რეგულატორები – ნორმები აქვს.

ობიექტურ სამყაროს საქმიანი ურთიერთობები, ჭეშმარიტების ძიება, მტკიცებულებათა ფაქტებთან შესაბამისობა ასახიათებს; სოციალური სამყარო საზოგადოებრივ გარემოში მიღებულ ნორმებს ემყარება. მასში დიდი მნიშვნელობა აქვს თავდაჭერის სისწორეს, ანუ წესიერ მოქცევას. სუბიექტურ სამყაროში ექსპრესიული ურთიერთობები მყარდება, კონკრეტულ სუბიექტთა ინდივიდუალური გრძნობა-განწყობილებები და ლტოლვა-მისწრაფებები ბატონობს [მონსონი 1992: 327]. როცა ჟურნალისტი თავის მოსაზრებებს, ღირებულებებს, განცდებს აშკარად გამოხატავს, იგი სრულიად მართალია თავისთავთან მიმართებაში. იგი მართალია სამყაროსთან მიმართებაშიც, როცა მასალას კონკრეტული პარტიის მითითებით გადმოსცემს, ან როცა შეგნებულად ემორჩილება რედაქტორის მითითებებს თუ საზოგადოებრივი აზრის სტერეოტიპებს.

პრესაში ასახული სამი სამყარო პრაგმატიკულ აზრს შეიცავს. უპირველესად მისი სარგებლიანობა იგრძნობა. ავტორის ობიექტურობის რღვევისას შეგვიძლია ამოვიცნოთ და თავიდან ავიცილოთ აუდიტორიასთან მოსალოდნელი უნებლიე კომფლიქტები. ამასთან ჟურნალისტს, რომელსაც გონებაში სიმართლის ორიენტირი მოეპოვება, საკუთარი შემეცნებისა და ასახვის სტილის კორექტირება შეუძლია.

მას აქვს გონიერების გამოჩენის უნარი. და ბოლოს: ჟურნალისტს ნამდვილ თავისუფლებას მოვლენათა არსში წვდომის უნარი ანიჭებს.

ყველაზე მყარი დამოკიდებულება დირექტიული მითითებებიდან ან აკრძალვებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ ინტელექტუალური კონიუნქტურისადმი, მოდური ავტორიტეტისადმი მორჩილი გონებისაგან. სხვათა შორის ეს კარგად გამოჩნდა ჩვენში 90-იან წლებში, როდესაც დროის მოთხოვნებს „დამორჩილებული“ ე.წ. პარტიული პრესა მოკლე ხანში ლამის ერთიანად გაქრა და მისი ადგილი უფრო ზომიერმა პრესამ დაიკავა. მართალია, პრესა დროის კონიუნქტურას ვერც შემდეგ გადაურჩა და მისი თავისუფლება, იძულებითი მორჩილების სხვა ტენდენციებმა შეზღუდა, მაგრამ ეს უკვე სხვაგვარი შეზღუდვები იყო და საუფიქვლადაც სხვა მოვლენები ედო.

### ლიტერატურა

#### References:

1. Журналистика и социология. Россия, 90-е годы. Ред. Сост. С.Г.Корконосенко, СПб., 2004.
2. Матвеев С.Ф. Теоретическая и практическая политология, М.,1993 .
3. Монсон П. Современная западная социология, СПб.,1992.

**Mariam Vardiashvili, Ketevan Gaprindashvili**

**Social consciousness journalist**

#### Summary

Sociological consciousness of journalism is the article in the context of general methodology of cognition of modern sociology, peculiarities of appeared reasonable conformation among understanding of real world and scientific access of truth.

**Keywords:** Sociological consciousness, journalist

**Reviewer:** Professor Liana Katamadze, Georgian Technical University

**Мариам Вардиашвили, Кетеван Гаприндашвили**

**Социологическое сознание журналиста**

#### Резюме

В статье обсуждается социологическое сознание журналиста в общем методологическом контексте современной социологии, проявившееся в своеобразных соотношениях между осмыслением реального мира и научного постижения истины.

**Ключевые слова:** социологическое сознание, журналист

**Рецензент:** Профессор Лиана Катамадзе, Грузинский технический университет.

**ბაღრი ცხადაძე, ეკა ცხადაძე**  
**იაპონელები და ჩინელები საქართველოში თანამედროვე ქართველი**  
**მწიგნობის რევაზ მიწვევასთან თვალსაწიერში**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაარსებული ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ (მთავარი რედაქტორი პროფ. შ. დოდონაძე) დიდ ყურადღებას აქცევს მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ თუ ლოკალურ, დასავლურ თუ აღმოსავლურ ისტორიულ და თანამედროვე ყოფით რეალიებს, სახელისუფლებო მართვის ადამიანურ რესურსებსა და მართვის სტრატეგიების მეცნიერულ ანალიზს. ჩვენ, პირადად, ლინგვოკულტუროლოგიური რაკურსით, იაპონიას, იაპონელებს [1, 119-130], ისე როგორც ჩინეთსა და ჩინელებს [2, 103-117], აგრეთვე ინდოეთსა და ინდოელებს [3, 119-130], ამავე ჟურნალში, ცალ-ცალკე, სამი სამეცნიერო წერილი მიუძღვნით. ამავე ჟურნალის გვერდებზე ასევე საინტერესოა ო. ქოჩორაძის [4, 38-58], [5, 20-31], [6, 78-95], ო. ქოჩორაძე, გ. გამყრელიძის, გ. ერაძის, დ. კიკნაძის, ნ. შამანაძის, კ. შერაზადიშვილის [7, 18-33], ირინე იაშვილისა და მარი საკოს [8, 243-252] სხვადასხვა საკითხსა და პრობლემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო წერილები.

გარდა ამისა, საინტერესოა ე. კანდელაკის ბროშურა „ჩინეთის ფენომენი და თანამედროვეობა“, რომელიც თანამედროვე ჩინეთის მიღწევებს ეხება [9].

იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი..., როგორც უკიდურესი აზია, ყოველთვის იყო ინტერესის საგანი მსოფლიო კულტურის მკვლევართათვის. უახლოესი მომავალი ამ მხრივ კიდევ უფრო მეტ სიახლეს, ეკონომიკურ წინსვლასა და დემოგრაფიულ სიურპრიზებს გვპირდება.

მიუხედავად მათი ერთიანი აზიური სივრცისა და მჭიდრო ისტორიული მეზობლობისა, ამ ქვეყნების ეთნოკულტურა ძლიერ განსხვავდება ურთიერთისაგან, როგორც ეგზისტენციალური ყოფით, ისე ეროვნული თვითმყობადური ხედვით. აგრეთვე ინტერესს აღძრავს მათი კონტაქტები იბერიულ-კავკასიურ და ევროაზიურ სიმბიოზურ (აღმოსავლურ-დასავლურ) ეთნოყოფასთან (დიაქრონიული თუ სინქრონიული რაკურსით).

თუ როგორია იაპონელები და ჩინელები, თუნდაც ერთი ქართველი შემოქმედის, მწერლის, კულტუროლოგის, ლიტერატურის კრიტიკოსის მწერლურ თვალსაწიერში, როგორია გლობალიზაციისა და მსოფლიო კატაკლიზმების ფონზე თანამედროვე იაპონელის, ჩინელის, ქართველის დღევანდელი ყოფითი კონტაქტები, რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ამ ურთიერთობებიდან, ვფიქრობთ, საინტერესოა როგორც სახილველად (შემოქმედის თვალთ), ისე განსახილველად (მეცნიერული



რაკურსით). ამ ერთობლივი წერილის საგანი, მიზანი და ამოცანა სწორედ ესაა.

### ა) იაპონელები ქართულ თვალსაწიერში

საქართველომ ჯერ კიდევ საბჭოურ ყოფაში მიიქცია იაპონელ მკვლევართა ყურადღება. მაგალითად, ცნობილი იაპონელი მკვლევარი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **კეიტი მორისიტა** საქართველოში მრავალჯერის ყოფნისას დაინტერესდა ქართველთა დღევრძელობით, მათი ჯანსაღი ცხოვრების წესით, დიდძალი მასალის მოგროვებისა და მისი ანალიზის შემდგომ გამოსცა წიგნი „საქართველოს მკვიდრთა საოცარი დღევრძელობის საიდუმლოებანი“, რომელშიც ავტორი ერთმანეთს უდარებს XX საუკუნის ბოლო მეოთხედის ქართველი და იაპონელი დღევრძელების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ანალიზებს მოსახლეობის დაბერების პროცესის თანამდევ სოციალურ მოვლენებს და ასევე, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ის უდიდესი დადებითი გამოცდილება, რომელიც „შექმნილია საბჭოთა საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების გახანგრძლივების ოპტიმალურ საშუალებათა შესაქმნელად“ [10, 2-3].

საქვეყნოდ ცნობილმა მწერალმა, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, ნოველისტმა რ. მიშველაძემ 1992 წელს გამოსცა ნოველების კრებული „ახალი ნოველების“ სახელწოდებით [11]; ამ კრებულში მოთავსებულ ნოველათაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნოველა „იაპონელი“ [11, 193-218].

ჩვენ არ ვიცით, ქართველ მწერალს **კეიტი მორისიტა** ჰყავს თუ არა ამ ნოველის („იაპონელი“) მთავარ გმირად ნაგულგები, მაგრამ დაკვირვება და ინტუიცია გვკარნახობს, რომ **მორისიტა** და მწერლისეული იაპონელი პერსონაჟი **კომიამა** აშკარად (ტყუპისცალივით) ჩამოჰგვანან ერთმანეთს.

რ. მიშველაძის ნოველაში „იაპონელი“ მოქმედება საქართველოში ხდება, საბჭოურ დროში, ავტორი პირველი პირით მოგვითხრობს საქართველოში უცნაური იაპონელის კომიამას მოგზაურობას, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: „იგი ქართველ გიდს საკუთარი ჩემოდნიდან ქაღალდის პატარა ნაგულგებს უწვდის, რომელზეც ინგლისურად აწერია **ოკრიბა (okriba)**. მათი დიალოგიდან ირკვევა, რომ იაპონელმა ინგლისური ენა გიდზე ცუდად იცის, ამიტომ ორივე საურთიერთოდ რუსული ენას ირჩევს. მეტიც: ქართველმა გიდმა მოსაცდელში იაპონელი გიდი იპოვა. ორ იაპონელს შორის საუბარი იაპონურ ენაზე ასე წარიმართა: „– **ძან წან ყუა ჩუნალუ ოკ-რი-ბა მისი ჯუნაწუნაი დოვაზელაწუნა?** იაპონელ გიდს მეორე იაპონელი, კომიამა, ასე გაეპასუხა: „**ჰაი, ჰაი, ჯენ ყვაი ჯერბჰავა ტენ დან თუ კაიდოჩიქიქწრუმა, ჯანჩაკო ლუნა ჰიუ ლაკვაზუნა?**“. მათი საუბრიდან

ირკვევა, რომ ბატონი კომიამა თხუთმეტი წლის წინათ ყოფილა საქართველოში და სწორედ მაშინ მოუნახულებია ოკრიბა. იქ ერთ გლეხს შეუპატიჟებია, ქვევრიც მოუხდია, ღვინოც შეუსვამს. ამიტომაც სურს კომიამას ძველი მასპინძლის ნახვა. როცა ქართველმა გიღმა კომიამას სათხოვარი გაიგო, დაჰპირდა მის მონახულებას, თუ ფირმის შეფი დასტურს ეტყოდა. გახარებული კომიამა, როგორც ნოველისტი წერს, აღტაცებისაგან „ოთხად მოიკაკვა“ და „მიუიაპონურ-რევერანსა“. მესამე დღეს ქართველი გიდი და იაპონელი კომიამა ინტურისტის ნომერშეცვლილი მანქანით ოკრიბის მოსანახულებლად გაემართნენ.

ეს ამბავი ენკენისთვის მიწურულს ხდება. მზაერობისას მანქანაში იაპონელი თვლემდა, ქართველი გიდი კი თავს იმთვლემარებდა (ვითომ თვლემდა). ისინი გზად საქართველოში ოქროსფერი, მწვანე-ნარინჯისფერი შემოდგომის სანახებით ტკებოდნენ, როცა მზე შუბისტარის მტკაველა გახდა, ოკრიბას მაშინ ჩავიდნენ. აი, სწორედ აქ მოხდა იაპონელის გარდასახვა: კომიამა გამოფხიზლდა, მანქანის ფანჯარას თვალით აკრა („ფანჯარას მიაჭიჭინდა“) „და ყოველ ორღობესთან ბედნიერებით არსავე ბავშვივით ტიტინებდა მშობლიურ ენაზე. ღიმილით პირგახეული დროდადრო შემომხედავდა, სერიოზულად მეტყოდა – ოკრიბა! ოკრიბა! და გულიანად გადაიხარხარებდა“. კოლმეურნეობის თავმჯდომარე სახელდახელო თათბირის მეყსეულად დაშლის შემდეგ სტუმრებს გამოეგება, ზრდილობიანად მიიკითხ-მოიკითხა. როცა თავმჯდომარემ იაპონელის მოსვლის მიზეზი გაიგო, სახე გაებადრა და იაპონელ სტუმარს მადლობა მოახსენა, თავმჯდომარის კაბინეტში მიპატიუებულთ, თავმჯდომარემ მეტის გაგება ისურვა, მაგრამ, სამწუხაროდ, იაპონელს „ოკრიბა“ სიტყვის გარდა, არაფერი ახსოვდა. ამის შემდგომ ნოველის გმირები, იმერელი მასპინძლების ხელში, კიდევ უფრო უჩვეულო ყოფაში აღმოჩნდნენ. სამივენი (სოფლის თავმჯდომარე, ქართველი გიდი (ანუ ნაწარმოების ავტორი) და იაპონელი კომიამა) ღამის მთელ სოფელს, თავისი ორღობეებით, სახლ-მარან-ჭურისთავებით ნახვით, შემოუვლიან) – ვისთანაც მივიდნენ, ყველამ იაპონელის სტუმრობა დაიჩემა – 15 წლის წინათ, გინდა თუ არა, მე ვუმასპინძლე და არა სხვამო!. კომიამა, როგორც კი იმერელი მასპინძლის ეზოში შევიდოდა, მუჭის სიმსხო ფოტოაპარატმომარჯვებული პირველად მარანს დაეძებდა. რამდენიმე იმერელი გლეხის მასპინძლობის შემდეგ, სულ ბოლოს, ოკრიბელ გრიგოლთან მივიდნენ. სწორედ მისი მარანი აღმოჩნდა, 15 წლის წინათ რომ ენახა იქ პურღვინომიღებულ და „გადაკრულ“ იაპონელს. და მაინც, იაპონელი სტუმარი, ქართული სტუმარ-მასპინძლობის გადამკიდე, კვლავ იცვლიდა მასპინძლებს – იმ ღამით ბოლო მასპინძელი სოფლის თავმჯდომარე აღმოჩნდა.

მეორე დღეს შუადღისას სტუმრები ქალაქის გზას დაადგნენ. იაპონელი სტუმარი გზაში თვლემდა, ქართველი გიდი კი უბოროტო ხუმრობით ყურში ხანგამოშვებით ჩასძახებდა ქართული სოფლის სახელს „ოკრიბას“, ამის გამგონე იაპონელი ზოგჯერ თავს ასწევდა, ფანჯარაში გაიხედავდა, გულიანად გაიცინებდა და ისე ღამაზად, დამარცვლით იტყოდა „ოკრი-ბას“, როგორც საქართველოზე შეყვარებულ, მაგრამ ქართულში ენაგაუტეხავ იაპონელს შეუძლია თქვას ეს მშვენიერი სიტყვა”.

ძნელია მოკლედ გადმოსცე ის ქართულ-იმერული ეთნოკულტურული შტრიხი სტუმარ-მასპინძლობისა, ქართველი კაცის ხასიათი – ეროვნული და პიროვნული მე იაპონელი სტუმრისა და ქართველი გლეხების სახით, რასაც ასერიგად ოსტატურად გვიხატავს რ. მიშველაძე. მისი თხრობა ზუსტია, ლაკონიური, გამოზომილი, მოქნეული და მოქნილი, გულში ჩამწვდომი, იმდროინდელი სოფლისა და ქართული ეროვნული ყოფის კოლორიტი ისეა წარმოდგენილი და „დაჭერილი“, რომ ჩვეულებრივი თხრობით მისი გადმოცემა ყოველად შეუძლებელია, ნოველა თავად უნდა წაიკითხოთ.

#### ბ) ჩინელები ქართულ თვალსაწიერში

რ. მიშველაძის მეორე ნოველა „ჩინელები“ [12, 17-25] რადიკალურად განსხვავდება „იაპონელისაგან“. თუ საბჭოური ყოფის სოფელი წელგამართულია, მსუყე და მადლიანი, „ჩინელებში“ ქართველობის ყოფითი დამცრობა და ქართველი გლეხის, მოქალაქის საზღვარგარეთისკენ გამიზნული ლტოლვა და მზერა, საქართველოს დედაქალაქში ლუკმა-პურის საშოვნელად ჩინელების შემოსევა გამხდარა გულგასენელი მწერლის ტკივილიან საფიქრალად.

მეოცე საუკუნის მიწურული, XXI საუკუნის პირველი დეკადა, თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, ახალფეხადგმული სახელმწიფოებისათვის მეტად არასახარბიელო აღმოჩნდა, განსაკუთრებით ჩვენთან, ჩვენში, როცა ყოველი ფეხის ნაბიჯზე ქართველ კაცს, უკანონობით შეურაცხყოფილს, და იმის გამოც, როცა კარს გულუხვად უღებენ უცხოელ-გადამთიელს ინვესტიციების სახელით, ადგილობრივი მოსახლე კი დიდ სოციალურ-სამართლებრივ და მოქალაქეობრივ ჩაგვრა-შევიწროებას განიცდის.

2009 წელს გაზ. „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა ემა ტუხიაშვილის პუბლიკაცია „გარევაჭრობა ჩინურად“ [13, 21-24]. წერილის დედააზრი და შინაარსეული ქარგა ასეთია: ჩინელების რომელიმე ქვეყანაში გამოჩენა ქვეყნის სტაბილურობისა და განვითარების პერსპექტივის უდავო მანქნებელია: უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში საქართველოში ბიზნესის ასაწყოებად ჩინეთის 12,000-მდე მოქალაქე ჩამოვიდა, ზოგმა სარესტორნო ბიზნესს მიჰყო ხელი და აღმოსავლური

სამზარეულოს ქსელი გახსნა, ზოგმაც ხალხმრავალ ადგილებში კომერციული ფართი იქირავა და ჩინური წარმოების საქონლით დაიწყო ვაჭრობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მომხმარებელი იმთავითვე უნდობლად და უნდლიად განეწყო იაფფასიანი ჩინური ნაწარმის მიმართ (თუმცა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მოსახიდად პროდუქციის ფასი გადამწვევტი აღმოჩნდა), ჩინური მაღაზიების ქსელი სწრაფად გაფართოვდა.

ამ პუბლიკაციიდან აგრეთვე ვეცნობით იმასაც, საქართველოში როგორი წარმატებით ვითარდებოდა ჩინელების მცირე და საშუალო ბიზნესი – როგორც ცნობილია, მაშინ თბილისში ჩინური კვარტლის ანუ „ჩაინათაუნის“ მშენებლობაზეც კი კეთდებოდა აქცენტები, რომ სერიოზული ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკაში იმავდროულად ჩინელთა ბიზნესის განვითარების ხელისშემწეობიც იქნებოდა.

ჟურნალისტის წერილიდან აგრეთვე ვეცნობით: ჩინელებს, თბილისში, სანამ საკუთარი მიკროქალაქი ექნებოდათ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, საქართველოში ნაშოვნი ფულით, სახლებისა და მიწის ნაკვეთების შექმნას და სოფლის მეურნეობის განვითარებას მიჰყოფდნენ ხელს. შევნიშნავთ, რომ ჩვენი ინფორმაციით, მათ აშუამად სამეგრელოში მეგრელებთან თანაცხოვრებით მეგრულიც კი უსწავლიათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ, ტრივიალური გამოთქმით, ჩინელები აქ „თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში“, ეს იყო მანამ, სანამ მათ ბიზნესს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ე. წ. ომმა და იმავდროულად მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა არ მოუსწრო. ყოველივე ამან – უმუშევრობის ზრდამ, მოსახლეობის შემოსავლების შემცირებამ „ჩინურ მაღაზიებზე“ იქონია ზეგავლენა კლიენტურის (მომხმარებლის) თანდათანობითი კლებით. მსოფლიო გლობალური კრიზისის პირობებში, თბილისში, ერთიმეორის მიყოლებით მალევე გაქრა ჩინური მაღაზიები (ისევე როგორც პირველად გამოჩნდა). ზოგმა მათგანმა დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე გადაინაცვლა ერთგვარი ხერხის გამოყენებით: გამკვლელები, რომლებიც ფულის დასაზოგად შეგნებულად თავს არიდებდნენ მაღაზიებში სიარულს, ქუჩაში გამოსულ ჩინელებს გვერდს ვერ უვლიდნენ (ძნელია ცდუნებასთან გამკლავება!) – ისინი ხელსაყრელ ფასებში შინ თან იყოლებდნენ რაიმეს – „ჩინურად გარევაჭრობის“ ამ ერთ-ერთმა ძირითადმა ბერკეტმა ერთხანს თითქოს გაამართლა და მოულოდნელად კრიზისიდან ხარჯებისაგან შემცირების ერთ-ერთ საშუალებად მოგვეკვლინა.

ცხადია, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის (კონფლიქტის) შემდგომ საქართველოში ეკონომიკური უკუსვლა

მოსალოდნელი იყო (ამას ჩვენ ამ ომის გარეშეც ველოდით). ამის შემდგომ რა ბედია ეწიათ ჩინელებს, ძნელია თქმა – ალბათ, ზოგიერთმა საკუთარი ბიზნესის წარმართვა თავის სამშობლოში განაგრძო, ზოგმა სხვა ქვეყანაში გადაინაცვლა, ზოგმა საქართველოდან გაცლას აქ დარჩენა არჩია და ბიზნესის სხვა სფეროსაკენ გადაიხარა.

სწორედ ამ „სავაჭრო-შემოქმედებით ხანას“ – ჩინელების თბილისქალაქში „გაჩენა-გათბილისებას“ – მათ მცირე და საშუალო ბიზნესის ფეხმოკიდებას ეხება ნოველისტი რ. მიშველაძე ერთ-ერთ ნოველაში, რომელსაც „ჩინელები“ ჰქვია.

რ. მიშველაძის ეს ნოველა 2007 წლის 17 ივნისს დაიწერა, გამოქვეყნდა ავტორისავე ნოველების კრებულში „წარღვა“ [12, 17-25]. მწერალი კრებულის ანოტაციის მეორე აბზაცშივე გვამცნობს, თუ „როგორია ჩვენი მღელვარე ეპოქა, თანამედროვის შიშითა და მოლოდინით აღსავსე დღეები, მრავალტანჯული ქართველი ხალხის ტკივილიან-ღიმილიანი ცხოვრება“. ნოველა „ჩინელები“ გვაუწყებს: 2005 წელს ენკენისთვეში დელისის მეტროსთან როგორ გამოჩნდა ერთი სიმადლის ორი ჩინელი (ხალიანი და უხალო, რომელთა ასაკოვნებას – უმცროს-უფროსობას ვერაფრით დაადგენდით), მამრობითი სქესისანი, დაჭმუჭნილი სატინის ლურჯი კვართებით, მოკლე, მომწვანო ხამის შარვლებით, შიშველი ფეხები ხის ქოშებში რომ წაეყოთ და ქუჩებსა და ტროტუარზე მხრებზე გულდაგულ გატენილი ნეილონის ყვითელი ტომრებით რომ დაფუსფუსებდნენ, ჩინურ-ფხენიანური აქცენტით და გამუდმებული სიცილითაც ხომ იქცევდნენ გარშემომყოფთა ყურადღებას. ავტორის თქმით, მათ ინდმოვაჭრე ლტოლვილების (მეტროს ზედა ჩასასვლელთან) გვერდით დაიბანაკეს თავიანთი ჩინური მაისურებით, მარაოებით, ღურბინდებით, რეზინის პატარა ბურთებით, იეროგლიფებიანი ქუდებით და ა. შ.

ნოველის ავტორის მონაცოლით, ჩინელები ყველაფერს ხუთ ლარად ყიდდნენ (მათ მხოლოდ ქართული სიტყვა „ხუთი“ იცოდნენ), მყიდველი მოუმრავლდათ, ზოგჯერ პატრული თუ დაურღვევდა „ვაჭრულ სიმშვიდეს“. „ტუალეტიც“ იქვე ჰქონდათ ბუნებაში, ჭადრის ხის ძირი, ადგილობრივი ქურდბაცაცები კი ამ დროს, ჩინელების მოსაქმებისას, ჩინურ საქონელს აწაპნიდნენ და თავმესაფარებლად მეტროში მიძვრებოდნენ. მეორე დღეს ჩინელებს კვლავ პატრული დაერია, ერთ-ერთი (ხალიანი ჩინელი) მანქანაშიც კი ჩასვეს და გაუყენეს „დამოუნის გზას“ – „ქვეგამხედავმა პატრულელებმა“ პოლიციის ქვეგანყოფილებაში ამოაყოფინეს თავი, კითხვები ინგლისურ-რუსულად დააყარეს, მაგრამ ვერას გახდნენ, მათ მხოლოდ ერთადერთი ქართული სიტყვა, როდენობითი რიცხვითი სახელი „ხუთი“ იცოდნენ და...

ზედმოყოლებული გულიანი სიცილი. ბოლოს პოლიციელები იძულებულნი გახდნენ ჩინელ ვაჭარს თუ ინდოვარს ზრდილობიანად დამშვიდობებოდნენ, ნოველის ავტორის თქმით, ხელიც კი ჩამოართვეს თურმე.

ცხადია, პატრული ზრდილობიანად ასეთ შემთხვევაში ხელს არავის ართმევს. ეს გამონაკლისად უნდა ჩაუთვალოთ და აი, გიორგობისთვის ბოლოს, იმავე ორმა ჩინელმა ქუჩის პირას პროფესორ თავდუმადის მომცრო საკუჭნაოც დაიქირავა.

აშკარაა, ნოველისტი გმირის დახატვა-წარმოდგენისას კაიპარად პროფესორს (მცირეხელფასიანს და ა. შ.) არ დაასახელებდა, მით უმეტეს, გვარად თავდუმადის (საფიქრებელია, მისი გვარის წინაპარს, ეპონიმს, ეტყობა, თავი და დუმა გაერთიანებული ჰქონდა უზრუნველი ცხოვრებით...?).

ირკვევა, რომ პროფესორს საკუჭნაო ფოტოსაქმისათვის აუშენებია, ისეთი მომცრო ყოფილა, რომ თავი ხეირიანად თავის პატარა კუდსაც ვერ მოიქნევდა, მაგრამ სამაგიეროდ ქუჩის მხარეს ფანერის კარი ჰქონია დატანებული. ჩინელებმა მშენებლობა-გადაკეთების „ფხა“ გამოიხინეს – ფანერის კარი რკინის კარად შეცვალეს, ფოტოსაკუჭნაოს ღია კარი ვიტრინად აქციეს, და... ერთ მშვენიერ დღეს (თოთხმეტ დეკემბერსო, აზუსტებს ნოველისტი) ჩინელებმა საკუჭნაო-ჯიხურის წინ ნახვრეტებიანი კასპური აგურ-ცემენტი მოხიდეს და კედლის შენებას მიჰყვეს ხელი.

პატრული რის პატრულია და ამჯერადაც თავს დაადგა ჩინელ „მეორედ მაშენებლებს“. თურმე ჩინელებს ამ ხნის განმავლობაში კიდევ ერთი ქართული სიტყვის დასწავლა მოესწოთ – პატრულის წინაშე სულ „დიახ-დიახ“-ს გაიძახოდნენ. ამ მომენტში პოლიციელები მათ მიმართ არაგულმოდგინებულნი აღმოჩნდნენ და... ნახევრადაშენებული კედლის დანგრევა დაიწყეს, თუმცა ჩინელები მაინც „დიახ-დიახს“ ამბობდნენ და იმავდროულად, შეუჩერებლივ, კედელს კვლავ ჯიქურ აშენებდნენ. მოულოდნელად მათ წინ ვიღაც შავკალსტუხიანი აისვეტა, „საელჩოს შევატყობინებ და თვითონ დაანგრევენო“ და თქმისთანავე „ჯიპში“ განცხრობით ჩამჯდარა. ამ ფაქტის შემსწრე მწერლის თქმით, გასულა რამდენიმე კვირა და „ჩინური კედლისთვის“ ხელი არავის უხლია.

მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც ირკვევა, იმავე ჩინელებს (**ჩოან ლაისა და ჩოან ჰლაის**) მარტის თვის დასაწყისში სოფელ ლომისჭალაში „კარს“ თერთმეტი ჩინელი მისდგომია. როგორც ნოველისტი ირწმუნება, ჩოან ლაიმ დანარჩენ შვიდ ჩინელ ნათესავთან ერთად ახალი ვაჭრობა წამოიწყო.

ნოველიდან ცხადი ხდება, თუ როგორი საინტერესო გამოდგა ჩვენი სახალხო ტელევიზიის მიერ 19 აგვისტოს გადაცემული სიუჟეტი – „**ჩინელები ლომისჭალაში**“; თურმე, ჟურნალისტის განცხადებით: „მუყაითმა ჩინელებმა ლომისჭალაში მზუსუმზირის 3, კიტრის 2, პამიდურის 4, ხოლო ბადრიჯნის 7 მოსავალი მოიყვანეს“.

საინტერესოა, ამის შემხედვარე კახელი გლეხკაცის შეფასება – თუ როგორ „ირტყამენ წიხლებს ჩინელები კეფაზე“, სამუშაოზე არდაგვიანების გამო – ეს თავად უნდა წაიკითხოთ.

ოქტომბერში ჩოან ლაიმ თავის საამფსონოსთან ერთად მეტროს პირდაპირ, ტროტუარზე, სამოვარი აათუხთუხა – ახლა ჩაით, ბრინჯის ღვეზლით გაუმასპინძლდა გამგელელ-გამომგელელთ. პოლიციელები კი... მათი ერთი-ერთი პირველი მუშტრები გახდნენ.

ნოველისტის საბოლოო დასკვნით: ახლა, დღეს, აქ, პროფესორ თავდუშაძის ფოტოსაკუჭნაოსთან დიდი ჩინური უნივერსალური მაღაზიაა გახსნილი, სადაც ერთმა ჩინელმა სამოვარი დადგა – დიდი ჩინური რესტორანი (აბა, საშაურმის გახსნას როგორ დასჯერდებოდა!). მისივე თქმით, აქ, უნივერსალურ ჩინურ მაღაზიაში დაახლოებით 49 ჩინელი მუშაობს, ჩინურ რესტორანში კი დაახლოებით – 157 (დაახლოებით იმიტომ, რომ თვით ჩინელებმაც არ იცოდნენ ზუსტი რაოდენობა).

რ. მიშველაძის ნოველის დასასრულიდან კიდევ უფრო ფრიად სამწუხარო სურათი იკვეთება. მისი აღწერით, „დეღისის მეტროსთან „ყოფილ თავადს, ამჟამად გეაროვანთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ნამდვილ წევრს ვამეხ დადემქელიანს თავისი სახსრებით კანონიერად აშენებულ სილამაზის სალონს და წიგნის მაღაზიას უნგრევდნენ. ოპერაციას ერთი ბუღლოზერი და სპეცნაზი „აწარმოებდა“. ხალხი კი სეირს უყურებდა, ნანგრევებზე შემხტარი ნათავადარი თუ თავადყოფილი პლაკატით ხელში **„ხელები შორს კერძო საკუთრებისაგან“** ტყუილად გაისარჯა. – მისი სალონი მიწასთან გაესწორებინათ. თავიანთ „კანონიერ“ სავაჭრო ობიექტებთან – მაღაზია-რესტორნებთან გამწკრივებული ჩინელები შესცქეროდნენ ამ სავალალო სურათს და... იცინოდნენ.

მწერლის საბოლოო თქმით, „თბილისის თავზე დიდი, შავი ღრუბლები იშლებოდა“. ჩვენი დასკვნით, არა მარტო თბილისის თავზე, მთელ საქართველოში ჩინური თუ არაჩინური შავი ღრუბლების მოძალებას ბოლო არ უჩანს, თუმცა ბოლომოდებულ ქვეყანას, აბა, ბოლო სად ექნება?

მწერლის პათოსი, გულისტკივილი, განცდა თუ თანაგანცდა თვალნათლივია. უკუღმართობას ვუყურებთ, ვხედავთ, თუმცა ვერაფერს ვშეგვლით. სოციალური და უსამართლობით გამოწვეული უილაჯობის

ჩვენებით ნოველისტი მკითხველს კიდევ ერთხელ დააფიქრებს და უბიძგებს გარსმოჯარული უკეთურების დაძლევისაკენ, ეგზისტენციალური ყოფისა და არსებული რეალობის შეცვლისაკენ. ამ მხრივ, მწერალ-პროფესიონალის მიერ ნოველის ფორმით გამოხატული მწვავე პროტესტი სასურველ მიზანს უფრო აღწევს, ვიდრე ამ პრობლემისადმი მიძღვნილი დიდტანიანი სამეცნიერო გამოკვლევა, სამეცნიერო ხასიათის კერძო წერილი, ჟურნალისტური ესე ან თუნდაც საპროტესტო მიტინგი. ნოველისტი, ისე როგორც მისი ნოველა, ეპოქის უტყუარი სულის მატიანეა.

PS. რევაზ მიშველაძის ნოველის „ჩინელები“-ს გამო აღსანიშნავია პოეტ მურმან ჯგუბურიას „პოეტური გამოსხმაურება“ [14, 17]. ლექსს „ჩინელები“ ჰქვია, რომელშიც არა მარტო ჩინელი კაცის ხასიათია გამჟღავნებული, არამედ ქართველი კაცის დღევანდლობით გამოწვეული ეგზისტენციალური არჩევანი და ორიენტაცია. წარმოვადგენთ ამ ლექსს სრულად:

„მომცრო ჩინელი თოხნის მიწას,  
უვლის ბაღ-ვენახს,  
ზორბა კახელი აშშ-ში  
ნატრობს გაფრენას.  
მომცრო ჩინელი ადრე დგება,  
გვიან იძინებს,  
ამერ-იმერი გაზაფხულზე  
ითვლის წიწილებს.  
მომცრო ჩინელი ღამით ერთი,  
ღილით – ორია,  
ცდება, ვინც ფიქრობს,  
რომ ეს ჩემი მონაგონია.  
მომცრო ჩინელი სამორინეს  
სტუმრობს ჟამი-ჟამ.  
და იმდენს იგებს,  
რაც წინდაწინ იანგარიშა.  
მომცრო ჩინელი ჩუშია და  
ფოთლის ჩრდილია  
და აღარაფრის და არავის  
არ ეშინია,  
არ ეჩხირება თვალში არავის,  
აღარ დიდგულობს,  
მე როცა ლექსს ვწერ,  
იგი მიწის ამბავს კითხულობს.  
მომცრო ჩინელი ლერწამია,



ქარის დამყოლი,  
თან მოაზროვნე და  
ნათქვამის სხვათა გამგონი.  
თავად უთქმელი, უღამაზო,  
მაგრამ ღამაზი,  
და მხიარული არ იზიდავს ტანისამოსი.  
არის თუ არა, ვერ გაიგებ,  
ღამეს სად ათევს,  
და თვეთა შორის,  
გამორჩევით ეტრფის მკათათვეს,  
რაც აახლოებს მას საყვარელ  
მიწის ნაკვეთთან,  
ხან ქორს გასცქერის,  
წიწილები რომ დააფეთა,  
ღრუბელს გასცქერის,  
ახლა ცაზე მიდის რომელიც  
და უყვარს იგი, არის რაიც მიუწვდომელი,  
რასაც სახელი გააჩნია, არის მედინი.  
ვით ამბობს ღაო (აქ დამესვა უნდა წერტილი) –  
რაც აღარ ითქმის, იგი არის მხოლოდ მარადი,  
და უსახელო ჩინელებით სავსე ქალაქი  
მაფიქრებს ჩემი... ზორბა მიხო აშშ-ს მიდის,  
აქ მოსავს ქუჩებს უხილავი ჩინელი ჩითით...

ქართველი პოეტის მიერ ლექსში ჩაქსოვილი რიგითი ქართველის ხედვა რეალური და გულისტკივილი ისეა მკითხველისთვის მიწოდებული, რომ რაიმე კომენტარი, მით უმეტეს სრული შეფასება, ამ შემთხვევაში, ზედმეტად მიგვაჩნია. დავძენთ მხოლოდ იმას, რომ ზორბა, ფიზიკური ძალის მქონე ქართველები (ქმრები და ცოლები, ერთად ან ცალ-ცაკე, ზოგჯერ სიდედრ-შვილებითურთ...) საქართველოს ბანკებში სესხ-ვალ აღებულნი, უცხოეთისაკენ თავადერილნი თუ თავქუდმოგლეჯილნი, ფულის ადვილად საშოვნელად, გარბიან, მაშინ როცა უბრალო, რიგითი ჩინელი „მცირედიცამც კმაყოფილია“, თუნდაც თავისი სამშობლოს გარეთ იყოს, უცხო ქვეყნის მიწაზე.

ლოკალური მასშტაბით, საშოვარზე წასვლა მეტ-ნაკლებად ყველა დროში, ყველა ქვეყანაში იყო. ჩვენთანაც, კავკასიაში, საქართველოში, მთაში მცხოვრები სამუშაოს, საგაზაფხულოდ (დაღესტნელი ან რაჭველი ხურო-მკალავეები, მეზუხრეები, წვრილი ხელოსნები პირიქით – უმეტესად – ზამთარში) ბარში ეძებდა. სვანურად საშოვარზე წასვლას „ლაქმათე ღიზი“ ჰქვია. თანამედროვე გლობალიზაციისა და დღეს მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში როდის

დამთავრდება მშობლიური ადგილებიდან ქართველთა თუ არაქართველთა (ჩინელი, ინდოელი, აფრიკელი...) ეს „გაქცევა“ – „ლაქმათე ლიზი“, არავენ იცის.

PS. აქ განხილული თემატიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა რ. მიშველაძის კიდევ ერთი (მესამე) ნოველა „ჩინური კედელი“ [15, 394-404], რომელშიც მწერალი ამჯერად ქართველი კაცის ჩინეთში საკონფერენციოდ წასვლა-გაფრენას და იქ გადამხდარი „ჩინური“ მოგზაურობის თავგადასავალს ეძღვნება. მწერალი ჩვეული ოსტატობით წარმოგვიდგენს ნოველის ქართველი გმირის ჩინური ვერბალურ კომუნიკაციასთან შეხებას „ჩან-ქუ-გვან-ნქო-ძინ-ბა-თჰრბაი“-ს დიალოგებით – „საუცხოო“ სტუმარმასპინძლობის ეპიზოდების ფონზე გმირის კუროსზულ-კომიკურ და კოლორიტულ სიტუაციებს. ამ ნოველას, მისი ქართველი გმირის მონაწილეობით, დაწვრილებით სხვა დროს შევეხებით.

PPS. ჩინელთა ჩამოსახლება საქართველოში, როგორც ქართული პოლიტიკის სათავეში მოსულმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ და კერძოდ, პრემიერ-მინისტრმა და ბიზნესმენმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა 2013 წლის თებერვლის დასაწყისში საზოგადოებისათვის ნათელყო (საჯარო გახადა), ყოფილ მმართველ პარტიას „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის თავმჯდომარეს, საქართველოს მოქმედ და იმედგარეულად „ყავლგასულ“ პრეზიდენტს მ. სააკაშვილს დღის წესრიგიდან თურმე არ მოუხსნია. დღევანდელმა პრემიერ-მინისტრმა ბ. ივანიშვილმა შეაჩერა ჩინელთა ჩამოსახლება და განსახლება თბილისის ზღვის გარშემო და ამრიგად, ქართული სოფლები: ბროწეულა, პატარა ლილო, ქვიშიანი და სხვ. გადაურჩა გაჩინელებას. მწერლისა და მეცნიერის, ბატონ რ. მიშველაძის „გაჩინელების პროცესის“ ჩვენება და მხილება საუკეთესო მაგალითია იმისა თუ როგორ უნდა მოიქცეს ჭეშმარიტი მწერალი და მამულიშვილი მსგავს სიტუაციაში.

## ლიტერატურა

### References:

1. **cxadaZe b., cxadaZe e.**, iaponia da iaponelebi qarTul lingvistur-kulturologiur arealSi. J. xelisufleba da sazogadoeba (Teoria, istoria, praqtika), # 3 (11), 2009 (Georgian)
2. **cxadaZe b., cxadaZe e.**, CineTi da Cinelebi qarTul lingvokulturologiur ganaserSi (arealSi). J. xelisufleba da sazogadoeba (Teoria, istoria, praqtika), # 1 (13), 2010 (Georgian)

3. **cxadaZe b., cxadaZe e.**, indoeTi qarTul lingvokulturologiur arealSi: Ria diplomatiis asociaciisa da samecniero Jurnalnis `xelisufleba da sazogadoeba (istoria, Teoria, praqtika)~ #4(20), 2011. tomi I. (Georgian)
4. **qoCoraZe o.**, adamanuri resursebis marTva iaponiaSi (konceptualuri sqema). Ria diplomatiis asociaciisa da samecniero Jurnalnis `xelisufleba da sazogadoeba (istoria, Teoria, praqtika)~ #1(13), 2010 (Georgian)
5. **qoCoraZe o.**, adamanuri resursebis marTvis Cinuri strategia” Ria diplomatiis asociaciisa da samecniero Jurnalnis `xelisufleba da sazogadoeba (istoria, Teoria, praqtika)~ #4(20), 2011. tomi I. (Georgian)
6. **qoCoraZe o.**, mmarTvelobiTi azrovneba da praqtika aRmosavlur civilizaciebSi. Ria diplomatiis asociaciisa da samecniero Jurnalnis `xelisufleba da sazogadoeba (istoria, Teoria, praqtika)~ #3(11), 2009. (Georgian)
7. **qoCoraZe o., gamyrelize g., eraZe g., kiknaZe d., SamanaZe n., SerazadiSvili k.**, iaponuri menejmentis filosofია. Ria diplomatiis asociaciisa da samecniero Jurnalnis `xelisufleba da sazogadoeba (istoria, Teoria, praqtika)~ #4(16), 2010. (Georgian)
8. **iaSvili i., sako m.**, msolfio ekonomikuri krizisi da iaponia. Ria diplomatiis asociaciisa da samecniero Jurnalnis `xelisufleba da sazogadoeba (istoria, Teoria, praqtika)~ #2(10), 2009. (Georgian)
9. **kandelaki e.**, CineTis fenomeni da Tanamedroveoba, Tb., 1997 (Georgian)
10. **morisita k.**, saqarTvelos mkvidrTa saocari dRegrZelobis saidumloebani, Targmna n. wereTelma, g. fixelaurisa da o. gerzmavas redaqqiT. Tb., 1986 (Georgian)
11. **miSvelaZe r.**, „axali novelebi”, g. buxnikaSvilis redaqqiT, Tb., 1992 (Georgian)
12. **miSvelaZe r.**, warRvna (novelebi), pirveli gamocema, s. siguas redaqqiT, Tb., 2008
13. **tuxiasvili e.**, garevaWroba Cinurad. gaz. „kvis palitra” 18-24 maisi, #20 (772)
14. **jguburia m.**, revaz miSvelaZis novelebze minaweri „Cinelebi”. ix. gaz. „mwerlis gazeTi”, #1 (189), 1 ianvari-15 ianvari. Tb., 2010
15. **miSvelaZe r.**, Cinuri kedeli. ix. r. miSvelaze, rCeuli Txzulebani. t. VI. gamomcemloba „saqarTvelos macne”, Tb., 2012

### **Badri Tskhadadze, Eka Tskhadadze**

#### **Japanese and Chinese in Georgia from the standpoint of modern writer Georgian Revaz Mishveladze**

##### **Summary**

This article refers to the two novels from the standpoint of a culturologist, linguist, critic, laureate of Shota Rustaveli prize, Revaz Mishveladze “Chinese” and “Japanese”. The first book is set in the 70-80s, the period of Soviet Union in Georgia, in the village of Imereti, and refers to its ethno national and cultural, hospitable customs. As for the second one it is about the post-Soviet period, the

newly independent Georgia. Here she is treated as a young country and its first political and economic steps are critically assessed. What's more he explains civil legitimate concern about - the growth of Chinese settlement, as well as government's support for the Chinese business to the detriment of the Georgian population, ignoring the interests of the local people etc. According to the authors opinion and from the point of view of the above mention writer starting with Japanese tourists and ending with Chinese "street traders ", all this is caused by the modern world, the global economic and political crisis and globalization, which unfortunately is still going on.

**Keywords:** Georgia; culturologist, linguist, critic, laureate of Shota Rustaveli prize, Revaz Mishveladze, Japanese and Chinese, Soviet Union in Georgia, of Imereti, the post-Soviet period, the global economic and political crisis and globalization.

**Reviewer:** Professor SoSo Sigua, Georgian Technical University.

**Ека Цхაдадзе, Бадри Цхაдадзе**

**Японцы и Китайцы в Грузии с точки зрения современного грузинского писателя Реваса Мишвеладзе**

### Резюме

В данной статье проанализированы 2 новелы с точки зрения филолога-культуролога, критика, лауреата премии имени Шота Руставели, “Японец” и “Китайцы”. В первой книге события происходят в Грузии в период 70-80 г. Советского Союза, в деревне Имерети и относятся к его национально-этнокультурным, гостеприимным обычаям, а во второй - в постсоветский период, к уже независимой Грузии, здесь она рассматривается как молодое государство и критически оцениваются её первые политические и экономические шаги. Объясняет гражданскую закономерную озабоченность - роста китайцев и их поселения, а так же поддержку китайского бизнеса в ущерб населения Грузии, игнорируя интересы местного населения и т. д. По мнению авторов и с точки зрения выше упомянутого писателя начиная с японских туристов и заканчивая китайскими "уличными торговцами", все это вызвано мировым современным, глобальным экономически-политическим кризисом и глобализацией, который к несчастью все еще продолжается.

**Ключевые слова:** Японцы и Китайцы, Грузия, филолог-культуролог, критик, лауреат премии имени Шота Руставели писатель Реваз Мишвеладзе, 70-80 г. Советского Союза, Имерети, независимая Грузия, глобальный экономический-политический кризис и глобализация.

**Рецензент:** Профессор Сосо Сигуа, Грузинский технический университет.

## CONTENTS

### THEORY

<b>Eliso Tsirekidze, Otar Kochoradze</b> Comparative World Politics and Modernity (The main stages of the development of comparative politics)-----	5
<b>Kristina Lazaridi</b> An Instrument for the evaluation of organizational management quality of an enterprise-----	18
<b>Tamara RevaziSvili</b> Environmental Ethics and Sustainable Development-----	48

### HISTORY

<b>Henri Kuprashvili</b> Diplomatic and political aspects of one event-----	55
<b>Emilia Alaverdov, Giorgi Todadze</b> Islam and Politics-----	65
<b>Marika Lazviashvili</b> The idea of Great Silk Road's regenerate -----	72

### ECONOMIC

<b>Ramaz Sitchinava</b> Establishment of a free industrial zone in Georgia-----	80
--	----

### LAW

<b>Tamaz Akubardia</b> To a question of definition of terms „Political Casus” and „Economic Casus”-----	85
---	----

**SOCIETY**

<b>Mariam Vardiashvili, Ketevan Gaprindashvili</b> Social consciousness journalist-----	<b>92</b>
<b>Eka Tskhadadze, Badri Tskhadadze</b> Japanese and Chinese in Georgia from the standpoint of modern writer Georgian Revaz Mishveladze -----	<b>96</b>

## СОДЕРЖАНИЕ

### ТЕОРИЯ

**Елисо Цирекидзе, Отар Кочорадзе**  
Сравнительная мировая политика и современность  
(Основные этапы развития сравнительной политологии)----- 5

**Кристина Лазариди**  
Инструмент для оценки качества организационного  
управления предприятия----- 18

**Тамара Ревазишвили**  
Экологическая этика и Устойчивое развитие----- 48

### ИСТОРИЯ

**Генри Купрашвили**  
Дипломатические и политические аспекты одной события----- 55

**Эмилия Алавердова, Гиоргий Тодадзе**  
Ислам и политика ----- 65

**Марика Лазвиашвили**  
Идея возрождения Большого шелкового пути----- 72

### ЭКОНОМИКА

**Рамаз Сичинава**  
Создание свободной индустриальной зоны в Грузии----- 80

### ПРАВО

**Тамаз Акубардия**  
К вопросу определения терминов «политический казус»  
и «экономический казус» ----- 85

**ОБЩЕСТВО**

<b>Мариам Вардиашвили, Кетеван Гаприндашвили</b> Социологическое сознание журналиста-----	<b>92</b>
<b>Ека Цхададзе, Бадри Цхададзе</b> Японцы и Китайцы в Грузии с точки зрения современного грузинского писателя Реваза Мишвеладзе-----	<b>96</b>



## აგტორები

ემილია ალავერდოვა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
თამაზ აქუბარდია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ქეთევან გაფრინდაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
მარიამ ვარდიაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
გიორგი თოღაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი
ჰენრი კუპრაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ქრისტინე ლაზარიდი	მეცნიერ მუშაკი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მარიკა ლაზვიაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი
თამარ რევაზიშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
რამაზ სიჭინავა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
ოთარ ქოჩორაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ეკა ცხადაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ბადრი ცხადაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ელისო ცირეკიძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

## Authors

Tamaz Akubardia	Professor of Georgian Technical University
Emilia Alaverdov	Doctoral Candidate, Georgian Technical University
Ketevan Gaprindashvili	Professor of Georgian Technical University
Henri Kuprashvili	Professor of Georgian Technical University
Otar Kochoradze	Professor of Georgian Technical University
Kristina Lazaridi	Research assistant, International Black Sea University
Marika Lazviashvili	Graduate student, Georgian Technical University
Ramaz Sitchinava	Doctoral Candidate, Georgian Technical University
Tamara RevaziSvili	Professor of Georgian Technical University
Giorgi Todadze	Student of Georgian Technical University
Eliso Tsirekidze	Student of Georgian Technical University
Eka Tskhadadze	Professor of Georgian Technical University
Badri Tskhadadze	Professor of Georgian Technical University
Mariam Vardiashvili	Professor of Georgian Technical University

## Авторы

Тамаз Акубардия	Профессор Грузинского технического университета
Эмилия Алавердова	Докторант Грузинского технического университета
Мариам Вардиашвили	Профессор Грузинского технического университета
Кетеван Гаприндашвили	Профессор Грузинского технического университета
Генри Купрашвили	Профессор Грузинского технического университета
Кристина Лазариди	Научный сотрудник. Черноморский международный университет
Марика Лазвиашвили	Магистрант Грузинского технического университета
Отар Кочорадзе	Профессор Грузинского технического университета
Тамара Ревазишвили	Профессор Грузинского технического университета
Рамаз Сичинава	Докторант Грузинского технического университета
Гиоргий Тодадзе	Студент Грузинского технического университета
Елисо Цирекидзе	Студент Грузинского технического университета
Ека Цхададзе	Профессор Грузинского технического университета
Бадри Цхададзе	Профессор Грузинского технического университета

## ჟურნალის რედაქლეგია

ნანა ავალიანი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ეგიპტეში საქართველოს საელჩოს დესპანი (საქართველო)
რუდიგერ ანდრესენი	ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ეკონომიკის დარგში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (გერმანია)
მეუფე აბრამი (გარმელია)	დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი (საქართველო)
ევგენი ბარათაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საქართველო)
გიორგი ბაღათურია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)
ოთარ ბაღათურია	პასუხისმგებელი მდივანი, პოლიტიკის დოქტორი (საქართველო)
რასა ბელოკაიტე	ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტის პროფესორი (ლიტვა)
ანასტასია განიჩი	რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური აზიის, კავკასიისა და ურალ-ვოლგისპირეთის შემსწავლელი ცენტრის მეცნიერ-მუშაკი, დოცენტი (რუსეთი)
იური გორიცი	მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის პროფესორი (რუსეთი)
ვახტანგ გურული	ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)
შოთა დოღონაძე	მთავარი რედაქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, (საქართველო)
ელუნ დრაკე ჰარალდ ვერტიცი	ევროპის საბჭოს ექსპერტი (საფრანგეთი) სორბონას უნივერსიტეტის „პარი-8“-ის პროფესორი ინფორმატიკის დარგში (საფრანგეთი)
გენადი იაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის უფროსი (საქართველო)
სერჯო კამიზი	“ლა საპიენძა“-ს უნივერსიტეტის პროფესორი. (იტალია)

რინარდ მასი	ნოტრდამის უნივერსიტეტის პროფესორი (ნიდერლანდების სამეფო)
როინ მეტრეველი	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (საქართველო)
იოშიკა მიცუი	იოკოჰამას ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი (იაპონია)
ბადრი ნაკაშიძე	მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის პროფესორი (რუსეთი)
ლიზავეტა ჟახანინა	კანზასის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ამერიკის შეერთებული შტატები)
ბუდი ნურანი რუჩჯანა	პაჯაჯარანის უნივერსიტეტის პროფესორი. (ინდონეზია)
რამონ პიეტრო-სუარესი გერტ სურმიულენი	ვეროპის საბჭოს ექსპერტი (ესპანეთი დოქტორი, ლოჯისტიკური კომპანიის პრეზიდენტი (გერმანია)
ქეთი ქოქრაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (საქართველო)
ოთარ ქოჩორაძე	მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)
რუსუდან ქუთათელაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი (საქართველო)
მაია ჩხეიძე	საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)
ენდრიუ ლენუქს ჰარდინგსი	კინგსკოლჯის პროფესორი (დიდი ბრიტანეთი)

**EDITORIAL BOARD**

NANA AVALIANI	PhD of History, Counselor-envoy of Georgia in Egypt (Georgia)
RUDIGER ANDRESEN	Professor of Economics of Berlin University, Doctor of Honour of Georgian Technical University (Germany)
His Eminence ABRAHAM (GARMELIA)	Metropolitan of Western Europe (Georgia)
EVGENI BARATASHVILI	Professor of Georgian Technical University, Head of Department of Economics and Business Management (Georgia)
GIORGI BAGATURIA	Professor of Georgian Technical University (Georgia)
OTAR BAGATURIA	Responsible Editor, Ph.D. (Georgia)
RASA BELOKAITE	Professor of the University of Vitautas the Great (Litva)
MAIA CHKHEIDZE	Professor of University of Georgia (Georgia)
ELUN DRUCKE	Expert of European Council (France)
SHOTA DOGONADZE	Chief Editor, Professor of Georgian Technical University, (Georgia)
ANASTASIA GANICH	Docent, Scientific worker of Central Asia, Caucasus and Ural-Volga researcher center of the Avcademy of Sciences of Russia (RF)
YURI GORITSKIY	Professor of Moscow Power Engineering Institute (RF)
VAKHTANG GURULI	Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University (Georgia)
ANDRU LENUKS HARDINGS	Professor of King's college (UK)
GENADI IASHVILI	Professor of Georgian Technical University, Head of the Public Administration and Electronic Business Department (Georgia)
SERGIO CAMIZ	Professor of the University of Roma „La Sapienza“ (Italia)
KETI KOKRASHVILI	Professor of Georgian Technical University, Head of the Administration (Georgia)
OTAR KOCHORADZE	Deputy Editor-in-Chief, Professor of Georgian Technical University (Georgia)
RUSUDAN KUTATELADZE	Professor of Georgian Technical University, Dean of Business-Engineering faculty (Georgia)
RICHARD MAAS	Professor of the University of Notrdam (The Netherlands)

ROIN METREVELI	Academy of Science of Georgia, Academician (Georgia)
IOSHIKA MITSUI	Professor of National University of Yokohama (Japan)
BADRI NAKASHIDZE	Professor of M.Lomonosov Moscow State University (RF)
RAMON PIETRO-SUARES	Expert of European Council (Spain)
BUDI NURANI RUCHJANA	Professor of the University of Padjadjaran (Indonesia)
GERT SURMIULEN	Doctor, preident of Logistic company (Germany)
LIZAVETA DJAKHANINA	Professor of Kanzas State University (USA)
HARALD WERTZ	Professor of Informatics of Sorbona University "Pari-8" (France)

**РЕДКОЛЛЕГИЯ**

НАНА АВАЛИАНИ	Посол по особым поручениям МИД Грузии, доктор исторических наук (Грузия)
Владыко АВРААМ (ГАРМЕЛИЯ) РУДИГЕР АНДРЕСЕН	Митрополит Западной Европы (Грузия) Профессор экономики Берлинского университета, почетный доктор Грузинского технического университета (Германия)
ГЕОРГИЙ БАГАТУРИЯ	Профессор Грузинского технического университета (Грузия)
ОТАР БАГАТУРИЯ ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ	Ответственный секретарь, Ph.D. (Грузия) Профессор Грузинского технического университета, руководитель департамента экономики и управления бизнесом (Грузия)
РАСА БЕЛОКАЙТЕ	Профессор университета Витаутаса Великого (Литва)
ХАРАЛЬД ВЕРТЦ	Профессор информатики Сорбонского университета «Пари-8» (Франция)
АНАСТАСИЯ ГАНИЧ	Доцент, научный сотрудник исследовательского центра Центральной Азии, Кавказа и Урал-привольжия АН РФ (РФ)
ЮРИЙ ГОРИЦКИЙ	Профессор Московского энергетического института (РФ)
ВАХТАНГ ГУРУЛИ	Профессор Тбилисского государственного университета им. Ив.Джавахишвили (Грузия)
ЕЛУН ДРАКЕ ШОТА ДОГОНАДЗЕ	Эксперт Совета Европы (Франция) Главный редактор, профессор Грузинского технического университета, (Грузия)
СЕРДЖИО КАМИЗ	Профессор Римского Университета «Ла Сапиенза» (Италия)
КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ	профессор Грузинского технического университета, глава администрации университета (Грузия)
ОТАР КОЧОРАДЗЕ	Заместитель главного редактора, профессор Грузинского технического университета (Грузия)
РУСУДАН КУТАТЕЛАДЗЕ	Профессор Грузинского технического университета, декан факультета Бизнес-инжинеринга (Грузия)



РИЧАРД МААС	Профессор университета Нотрдам (Нидерланды)
РОИН МЕТРЕВЕЛИ ИОШИКА МИЦУИ	Академик АН Грузии (Грузия) Профессор национального университета Йокогамы (Япония)
БАДРИ НАКАШИДЗЕ РАМОН ПЬЕТРО-СУАРЕС БУДИ НУРАНИ РУЧДЖАНА	Профессор МГУ им. М.Ломоносова (РФ) Эксперт Совета Европы (Испания) Профессор университета Паджанджаран (Индонезия)
ГЕРТ СУРМЮЛЕН	Доктор, президент логистической компании (Германия)
МАЙА ЧХЕИДЗЕ	Профессор Университета Грузии (Грузия)
ЛИЗАВЕТА ЖАХАНИНА	Профессор государственного университета Канзас (США)
ЭНДРЮ ЛЕНУКС ХАРДИНГС	Профессор кингсколледжа (Великобритания)
ГЕННАДИЙ ЯШВИЛИ	Профессор Грузинского технического университета, руководитель департамента публичного управления и электронного бизнеса (Грузия)